



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქ-
უბის სიფყვას, ცუდილუბით და ჭბბბბბბბბბბბ
თის გაფანა ყუელა უჯარბინბბბბ უსბბბბბბბ.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპუბლიკა

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 10 მარტი, 2021 წ. №49-50 (9168-9169) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ცბიერი და ვერაბი ნაცონალეზი, ჩვეულებიწამებრ, სხვას აბრალეზენ გამყალბებლობას, არაღა, „ახალი“ ვიდეოკადრებით აუკარა გახღა, ~~პირველი~~ რა ღონის გამყალბებლებიწ ბრბანღებინან!..



**ქსნი ქსნიშვილი: პასუსნი
უნღა ვაბებინოთ
იბათ, ვინს
მს ივერბა!**

**გენეროკურატურამ კერკო საუბრის
უნებართვო ჩანერის და მიყურადების
ფაქტზე გამოძიება ღაინყო**

კელი ღებნანი ირაკლი ღარიბაშვილს: აუშუ გააბრკელეზს საქართველოს მხარღაჭერას!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში კელი ღებნანს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-აშშ-ის ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული საკითხების ფართო სპექტრი.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ აშშ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია და ხელისუფლება აფასებს ოფიციალური ვაშინგტონის მტკიცე მხარღაჭერას არაერთი მიმართულებით, მათ შორის როგორც ქვეყანაში რეფორმების განხორციელების, ასევე COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების დაძლევის პროცესში. ირაკლი ღარიბაშვილმა საუბრისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აშშ-ის, როგორც ძლიერი სტრატეგიული პარტნიორის შემდგომი მხარღაჭერის მნიშვნელობას, რათა ქვეყანამ უახლოეს პერიოდში მიიღოს ვაქცინის საჭირო რაოდენობა და ღაინყოს მოსახლეობის ვაქცინაცია.

პრემიერ-მინისტრმა და ელჩმა ასევე ისაუბრეს ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მსოფლიოსა და რეგიონში არსებული გამოწვევების ფონზე, მხარეებმა მიმართონ ძალისხმევა



საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონსტრუქციული, დიალოგის რეჟიმში წარმართვისთვის.

შეხვედრისას ასევე ყურადღება დაეთმო რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ ვითარებას და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მძიმე მდგომარეობას. ამერიკელმა დიპლომატმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი აშშ-ის მტკიცე მხარღაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

სალომე ზურაბიშვილი:

**საქართველო არის ქვეყანა, საღას
კონსენსუსის საბანი არ უმცვლილა,
მს არის გზა ვეროპისა და ნატოსკენ**

მინღა, ერთი საინტერესო რამ ვთქვა, ყველა მხარე და საზოგადოებრივი აზრი საქართველოში, რომელთა 80 პროცენტიც მხარს უჭერს ევროკავშირისა და ნატოს გზას, ყველა მიიჩნევს, რომ ევროკავშირის მედიაცია ყველასთვის მისაღებია, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „ბიზინისთან“ ინტერვიუში განაცხადა.


კითხვაზე, აშშ-ის საელჩომ შემოფოტება გამოთქვა, რომ საქართველო არასწორ გზაზე დგას და აშშ-ის კონგრესისა და სენატის წარმომადგენელთა ჯგუფმა განცხადება გამოაქვეყნეს, რაზეც სალომე ზურაბიშვილმა უპასუხა: „ამაღდროულად ახალი სახელმწიფო მდივანი ორი თვის წინ არ იყო შემოფოტებული საქართველოს გზით, საღაროდ კონგრესის წინაშე აცხადებდა, რომ ჩვენი გზა ნატოსკენ ღაია და რომ ახალი ადმინისტრაცია მის მხარღაჭერას აპირებს“.

„ბიზინის“ ყურნალისტმა საქართველოს პრეზიდენტს ასევე დაუსვა კითხვა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადება ნიკა მელიას დაკავებამდე ბევრად ადრე გაკეთდა, რაზეც პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბრიუსელში თვენახევრის წინ იმყოფებოდა, საღაც ეწვია ნატოსაც, ევროკავშირისაც და მსგავსი არაფერი მოუსმენია.

„ერთია საღარო კამბანია, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ არის წამოწყებული, რომელიც არ ვიცი, საიდან მოდის და ჩემთვის გასაკვირია, ან არც ისე. საღარო კამბანია, რომელიც ცხადია, რომ მართულია, სხვადასხვა ინფორმაციის გავრცელებით, ზუსტად ისეთ დროს სორციელდება, როდესაც ნატოსკენ გზა ხელახლა გაიხსნა ახალი ადმინისტრაციით, როდესაც გზა ევროკავშირისკენ ისეთი მტკიცეა, როგორც არასდროს“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ნბ. 2 83.

**თამარ მეფის
ორღენოსანი
მანღიღოსნები**

**პირველი ქართველი
ქართველთა ქალი
მანღიღოსნები**



საქართველო არის ქვეყანა, სადაც კონსენსუსის საბანი არ უმჯობელია, ეს არის გზა ევროპისა და ნატოსკენ

(პირველი გვერდიდან) მისივე თქმით, ქვეყანაში კრიზისი არსებობს და ეს არის კრიზისი, რომელიც უნდა გადაიჭრას.

„მინდა, ერთი საინტერესო რამ ვთქვა, ყველა მხარე და საზოგადოებრივი აზრი საქართველოში, სხვათა შორის, რომელთა 80%-იც მხარს უჭერს ევროკავშირისა და ნატოს გზას, ყველა მიიჩნევს, რომ ევროკავშირის მედიაცია ყველასთვის მისაღებია. ეს არის ნიშანი, რომ ჩვენ ჩვენს მომავალს იქ ვხედავთ. მინდა შევეხო რუსეთს. ჩვენს ქვეყანა არასდროს დამდგარა რუსეთის გზაზე“...

კითხვაზე, ბევრი ქართველი ხედავს, არის ავტორიტარული ტენდენცია თქვენს მთავრობაში. მართალია თუ არა, რომ ეს რუსეთის და ვლადიმერ პუტინის სასარგებლოდ მუშაობს? და რომ ეს წარმატებას არ მოგიტანთ დეოკუპაციაში, სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა: „სტრასბურგის სასამართლომ ახლანდის რუსეთის ყველა დარღვევა აღიარა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ანგარიშში დაადგინა, რომ ოკუპაცია, თუ სწორედ მასთვის, 17-ჯერ იქნა გამოყენებული. ეს არის იმ მთავრობის მიღწევა, რომელიც თქვენ, როგორც პრორუსულ ხელისუფლებად აღწერეთ საქართველოში. ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა და მესმის, რომ არავის აქვს დრო, ახლოდან დააკვირდეს საქართველოს. ძირითადი აქტიური კამპანიები შეიძლება ზოგჯერ შეფასდეს მკაცრი სიტყვებითა და განსჯით. ჩვენ ის არ ვართ, ვისაც თქვენ აღწერთ“.



მისივე თქმით, საქართველო არის ქვეყანა, სადაც კონსენსუსის ერთი საგანი, რომელზეც ყველა მხარე და მოსახლეობა თანხმდება, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ეს არ შეცვლილა, არის გზა ევროპისკენ და ნატოსკენ.

„გზა ევროპისკენ, არ არის ახალი და საქართველო საუკუნეების განმავლობაში იცავდა თავს ბევრი სხვა შეჭრისგან, დაზიანებისგან და თითოეულ შემთხვევაში მიმართული იყო დასავლეთისკენ, ევროპისკენ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, მისი ძირითადი ღირებულებები არის ევროპული, ისეთივე, როგორც ევროპელებს აქვთ.“

საქართველოს პრეზიდენტმა BBC-ს ინ-

ტერვიუ მისცა. პარდ თოკის მთავარი თემა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება იყო. სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთის ელჩობიდან საქართველოს პრეზიდენტობამდე განვილი პერიოდზე ისაუბრა.

საუბარი შეეხო ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის დაკავების საკითხსაც. წამყვანის კითხვაზე, გმობს თუ ემხრობა პრეზიდენტი ოპოზიციური პარტიის ლიდერის პატიმრობას, სალომე ზურაბიშვილმა უპასუხა, რომ ის მხარს უჭერს კომპრომისს, დემოკრატიზაციასა და დეესკალაციას.

„ვიტყობდი, თუ რას ვუჭერ მხარს. ეს არის კომპრომისი, დემოკრატიზაცია და დეესკალაცია. ჩვენ საკმაოდ რთულ სამუშაოს ვატარებთ კომპრომისის მიხედვით. მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ პარტიას, შესაძლოა მეტად მივმარტოვებ მმართველ გუნდს, რადგან ის მეტად პასუხისმგებელი იმაზე, რომ გაანეიტრალოს ოპოზიციური პარტიების მხრიდან შესაძლო პროვოკაციები და ქვეყანაში დესტაბილიზაციის სცენარები. ორივე მხარემ მეტი უნდა გააკეთოს ამისთვის, რთული ორივეს სჯერა, რომ საქართველოს მომავალი ევროპაშია, მე კი ამის ნამდვილად მჯერა. არ მგონია, რომ კრიზისმა ამას ხელი შეუშალოს. საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწია. ამას მონიშნავს არაერთი დონისძიება, რომელიც ბოლო პერიოდში შედგა, მათ შორის ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის ვიზიტი, რომელმაც ამ კრიზისის მოგვარების შუამავლობა იკისრა. ამ საკითხზე მანამდე აქტიურად მუშაობდნენ აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები. ევროკავშირი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში გააქვდნენ კრიტიკის მიუხედავად, საქართველო არის რეგიონში ყველაზე წარმატებული, მეტად დემოკრატიული, სტაბილური ქვეყანა და მოსარული ვარ, რომ ევროკავშირის წარმომადგენელმა მედიატორის როლი იკისრა ამ კრიზისის მოგვარებაში.“

თუ „წულუკიანმა ისიც აღნიშნა, რომ გავრცელებული ჩანაწერების მიზანი ნათელია: „მიზანია ის, რომ ჩანაწერების რაღაც ფაბრიკაციით, უკანონოდ თქვან, რომ ღარიბაშვილთან სალაპარაკოდ არ დავჯვდები. ეს არის ერთადერთი მიზანი. სინდისთან მწყრალი განცხადებები იყო თქვენი ეთერიდან, „მთავარსა“ და „ტვ პირველს“ ვგულისხმობ, უსინდისო განცხადებები ის-

თბა წულუკიანი: ნაციონალურ მოძრაობასა და მის დამხმარეს მიზანობას, ქართველმა ხალხმა ხელისუფლებიდან სწორედ იმიტომ გაგვიშვა, რომ ფარულად ინერჯით გავშვებ, ამ გავშვებში შორის აღმოჩნდა ბერა ივანიშვილი



ამის შესახებ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, თბა წულუკიანმა განაცხადა.

„ნაციონალურ მოძრაობას, მათ დამატებებს, დაჯგუფებებსა და განყოფილებებს მივმართავ, რომელთაც დღეს პოლიტიკური პარტიაა პქვიათ და ზოგიერთი ჟურნალისტი ხართ მათი პარტიული ტელევიზიები. თქვენ ქართველმა ხალხმა 2012 წლის პირველ ოქტომბერს ხელისუფლებიდან სწორედ იმიტომ გაგიშვა, რომ თქვენ ფარულად ინერჯით ბავშვებს. ამ ბავშვებს შორის აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი იყო ბერა ივანიშვილი. რატომ აკეთებდით ამას? იმიტომ, რომ ბავშვები და მოზარდები გაზრდებიან მათი მშობლების წინააღმდეგ. თქვენი ხელისუფლებაში ყოფნა იდგა ვანოზე. იმ ვანოზე, რომლისაც დღეს გრცხვენიათ, მაგრამ ოპოზიციას უფროსად ხდება ამ უკანონო ჩანაწერების უსირცხვილო დამონტაჟება და ჩემთვის ყველაზე დიდ „ჟურნალისტს“ ნიკა გვარამიას პირდაპირ ეთერში წამოსცდა, მელაქმე რა კარგი ჩანაწერი გააკეთათ. ეს არის გაკეთებული ფაბრიკაცია უკანონო ჩანაწერების. ამიტომ, მე რომ ვიყო პროკურორი, გამოვიძიებდი ვინ გაკეთა ეს უკანონო ჩანაწერი, ვინ გაიტანა და სად გაიტანა, ასევე როგორ, ვინ დაამონტაჟა და რა მიზნით“, განაცხადა წულუკიანმა.

თუ „წულუკიანმა ისიც აღნიშნა, რომ გავრცელებული ჩანაწერების მიზანი ნათელია: „მიზანია ის, რომ ჩანაწერების რაღაც ფაბრიკაციით, უკანონოდ თქვან, რომ ღარიბაშვილთან სალაპარაკოდ არ დავჯვდები. ეს არის ერთადერთი მიზანი. სინდისთან მწყრალი განცხადებები იყო თქვენი ეთერიდან, „მთავარსა“ და „ტვ პირველს“ ვგულისხმობ, უსინდისო განცხადებები ის-

მოდა, მაგალითად ისეთი, რომ გინდათ, საზოგადოებას დააჯეროთ, ვითომ, დღეს ოჯახს მოკიდებული, უკვე დიდი კაცი, ბერა ივანიშვილი ელაპარაკება პრემიერს და ეს არის მათი დღევანდელი საუბარი. სირცხვილია ეი. „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ მოდის ხელისუფლებაში სწორედ ამიტომ და მათ კარგად უნდა გაიგონ, რომ დღესაც დგანან ვანოსა და მეგის ქარდავს საქმიანობაზე, აქვთ რაღაც უკანონო ჩანაწერები, ჭრიან, კერავენ და ცდილობენ, მიაღწიონ მთავარ მიზანს, რომ ქვეყანაში შეიქმნას არეულობა“, აღნიშნა თბა წულუკიანმა.

მან საზოგადოებას სთხოვა, რომ ყველა მაქსიმალურად თავშეკავებული უნდა იყოს.

„მინდა, როგორც ერთმა დეპუტატმა საზოგადოებას ვუთხრა, რომ ალბათ, მათთვის საკმარისი აღარ არის პარტიებს შორის დაპირისპირება და ყველაფერს აკეთებენ „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ქუჩაში მყოფი დამატებები, რომ საზოგადოებაში საშოქალაქო დაპირისპირების რაღაც მიზეზები გააჩნდნენ. ყველანი უნდა ვიყოთ, მაქსიმალურად თავშეკავებული, რადგან ეს არის ალტერნატიული ძალა, რომელსაც გაუხარდება საზოგადოების წევრებს შორის დაპირისპირება. თუ თქვენ ჩანაწერების ფაბრიკაციას მოუშვებთ, ნახავთ, რომ ამ საუბრიდან ნათელია ნათელია, რომ ღარიბაშვილი არ არის თანამდებობის პირი. ორჯერ ორი ოთხია. კიდევ ვიმეორებ, მთავარია გაირკვეს, ვინ ჩანაწერს უკანონოდ არასრულწლოვანი ბერა ივანიშვილი და რა მიზნით. მე ჩემი ეჭვი მაქვს. როგორც ყველა ბავშვს, ვინც იყო ოპოზიციის მიმართ მშობლის შვილი, წერდნენ და შემდეგ ოჯახს ატერორებდნენ. ეს იყო მიზანი, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი არ არის იმ მასშტაბის ადამიანი, ვისაც „ნაციონალური“ და ატერორებდნენ და ივანიშვილის ხელმძღვანელობით ჩვენ ეს ბოროტება დავამარცხეთ. ეს ბოროტება დღესაც გრძელდება და საბოლოო წერტილი რომ დაევიწყას, ეს საკითხებია გამოსაძიებელი. „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დღესაც იმიტომ ვერ ბრუნდება, რომ როგორც მაშინ იყვნენ ვანოზე და ქარდავაზე, ისე დგანან დღეს და ამისგან თუ არ გათავისუფლდნენ, მათ პოლიტიკური მომავალი არ აქვთ. პროკურორი რომ ვიყო, გამოვიძიებდი სწორედ იმას, ვინ ჩანაწერს არასრულწლოვანი ბერა ივანიშვილი, რა მიზნით, როგორ მოხდა ეს ჩანაწერი რომელიმე პარტიულ ტელევიზიაში, რა მიზნით დამონტაჟდა ასე უსინდისოდ და რა მიზანს ისახავდა. თუ გა მოძიება დაიწყო, თქვენგან მესმის, დაველოდოთ, განაცხადა თბა წულუკიანმა.



გონს მოკვებოთ!

2020 წელს 200 მილიონი დოლარი გავიდა ქვეყნიდან ელექტროენერჯის შესაქმნად!

ამ ბოლო დროს გვეხმის შემაშვოთებელი რამ, რომ ქვეყანაში ენერგოუსაფრთხოება და ენერგოდამოუკიდებლობა არ არსებობს და ეს მოგონილი და არარეალისტურია და თითქოს ჩვენ არ გვჭირდება საკუთრივ ენერგეტიკისა და ჰიდროენერჯის განვითარება, — ეს განცხადება, პარლამენტში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ დარგობრივი ეკონომიკის, ეკონომიკური პო-

ლიტიკისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე გააკეთა.

„ძალიან მარტივად ავხსნი, თუ რას ნიშნავს ასეთი მცდარი მიდგომა საქართველოსთვის: ბოლო ათი წლის განმავლობაში ევრო-ნიკა ძალიან სწრაფად ვითარდებოდა, მაგრამ შესების მშენებლობა ჩამორჩებოდა ამ პროცესს მთელი რიგი პრობლემების და მათ შორის შესების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის გამო. შესაბამისად, თუ 2010 წელს ელექტროენერჯის იმპორტი 200 მილიონ კილოვატ/საათზე ოდნავ მეტი იყო, ახლა გვიხდება 1,6 მილიარდი კილოვატ/საათის, რვაჯერ მეტის შემოტანა. ამას ემატება 3 მილიარდი კილოვატ/საათი ელექტროენერჯის გამოშვება გაზის თბოსადგურებზე. ისევ და ისევ უცხოური გაზის იმ-

პორტზეა დამოკიდებული. გამოდის, რომ ჩვენი მოხმარების მესამედზე მეტი, უკვე დღეს იმპორტზეა დამოკიდებული“ — განაცხადა ნათია თურნავამ. ამასთან მინისტრმა თქვა, რომ მხოლოდ 2020 პანდემიურ წელს ქვეყნიდან 4200 მილიონზე მეტი გავიდა ელექტროენერჯისა და გაზის იმპორტის საფასურის სახით. „ამ პერიოდში, ეს თანხა წაადგებოდა თუნდაც ლარის კურსის გამყარებას“, — აღნიშნა თურნავამ.

მისი თქმით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია თანხმდება, რომ საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ყველაზე სწრაფად ალადაგენს ეკონომიკას და 5%-იანი ზრდა ექნება. „რას ნიშნავს ეს ენერგეტიკისთვის? ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს 10 წელიწადში, ჩვენი მოხმარება დღევან-

დელი 12,6 მილიარდი კილოვატ/საათიდან სულ მცირე 21-22 მილიარდ კილოვატ/საათამდე, პრაქტიკულად გაორმაგდება. უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, ეს დამატებითი 32 მილიარდი კილოვატ/საათი, რაც ჩვენ დაგვჭირდება იმისთვის, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი შევინარჩუნოთ მაღალ დონეზე და მისაღწევად ცხოვრების დონე ავსამაღლოთ, საიდან უნდა მივიღოთ? იქნება თუ არა ეს ჩვენს ადგილობრივ შესებზე გამოშვებული ელექტროენერჯია, რაც იმას ნიშნავს, რომ რესურსი რჩება ადგილზე. ესაა დაახლოებით 1,5 მილიარდის ღირებულების ენერჯია. დარჩება ადგილზე, თუ ამ რესურსის შექმნა მოგვიწევს გარეთ“, — აღნიშნა თურნავამ.

მისი თქმით, საქართველოს შეუძლია უარი თქვას ჰესებზე და აირჩიოს თბოსადგურების მშენებლობა, რაც დამატებით, 10 წელიწადში ნიშნავს 4900 მილიონის ღირებულების გაზის იმპორტს. „ამ შემთხვევაში, ეს თანხა არ დარჩება საქართველოში და ეს თანხა მოხმარდება რომელიმე გლობალური ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას“...

ეკონომიკის მინისტრი პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკის, ეკონომიკური პოლიტიკისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე „რაჭა-ლეჩხუმში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით“ 10 135 მოქალაქის პეტიციის განხილვის ფარგლებში მივიდა.

კახი კახიშვილი: პასუხი უნდა ვაბეზინოთ იმათ, ვინც ეს იპერაბა!



ოპოზიციამ ნიკა მელიას დაკავება მეორე პლანზე გადაიყვანა. რადიკალურმა ოპოზიციამ ძველ მეთოდებს მიმართა და ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება დაიწყო.

უმრავლესობის წევრი კახი კახიშვილი აცხადებს: თავიდანვე მოხმრე იყო, რომ აღნიშნულ ჩანაწერებზე განადგურებად გამოიქვამდა დაწყებულიყო. დეპუტატის მოსაზრება იმ ოქმზეა დართული, რომელიც 2012 წელს ფარული ვიდეო და აუდიოჩანაწერების გაუქმებისას შედგა.

თავის დროზე აღნიშნული ჩანაწერების გაკეთებაზე საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა, სწორედ იმ მიზნით, რომ იმდროინდელ ხელისუფლებას ყველა ადამიანზე ჰქონოდა კომპრომატები მათ გასაკონტროლებლად და სამართავად. კახი კახიშვილის თქმით, გამოძიების დაწყება ახლა ძალიან რთული იქნება, რადგან რთული იქნება იმის დადგენა, თუ ვის ჰქონდა ჩანაწერებზე წვდომა და ვინ გაიტანა...

კახი კახიშვილი: პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ ის რაც მოხდა, ჩვენი ბრალია, ვგულისხმობ „ქართულ ოცნებას“, რადგან 2012 წელს, როდესაც ფარული ჩანაწერების კომისია შეიქმნა, თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია და ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ გამოძიება საჭირო არ იყო, უნდა განადგურებულიყო ყველა ჩანაწერი და ახალი ფურცლიდან უნდა დაგვეწყობო ურთიერთობა. მაშინ მე ამ კომისიის წევრი გახლდით და განსხვავებული აზრიც კი გამოვამჟღავნე (კახი კახიშვილის განსხვავებულ აზრს მასალის ბოლოს შემოგთავაზებთ), არ დავთანხმე და ვთქვი: აუცილებელია გამოძიება, რადგან აღმოვაჩინოთ სად, როგორ მოქმედებდა სისტემურად ამ ფარული ჩანაწერების შეგროვების კამპანია და ვინ ხელმძღვანელობდა მას, ვინაიდან შემდეგ ეს პრობლემა გახდება მეთქი. თუ მაინცდამაინც საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ ეს ადამიანები არ უნდა დაისჯონ, გამოვკვეთოთ ამ დანაშაულის ჩამდენი ვინ იყო და შეიძლება შემდგომში დასჯის მექანიზმების გამოყენებაზე ვიფიქროთ-მეთქი.

თქვენ გახსოვთ, ალბათ, ძველი არქივიდან ინტიმური ჩანაწერები რომ გამოქვეყნდა. ყველაზე დიდი პარადოქსი ის იყო, რომ როდესაც ეს ჩანაწერები გამოქვეყნდა, ის ადამიანები, რომლებმაც მოითხოვეს გამოძიების გარეშე ფარული ჩანაწერების განადგურება, შემდეგ სწორედ ისინი აცხადებდნენ, რატომ თქვენ არ გამოიძიებოდა და ა.შ.

ეს მასალა იმ არქივიდანაა დაკავშირებული და არავინ იცის, კიდეც რამდენი აქვთ. ეს ხდება იმიტომ, რომ თავის დროზე გამოძიება არ ჩატარდა, დღეს კი ვზივართ და ველოდებით, რომელ სერიას როდის გამოუშვებენ.

თქვენ ნახეთ, რომ რიგგარეშე არჩევნებზე იყო საუბარი, ჯერ კიდევ არჩევნების მიმდინარეობის პროცესში ლაპარაკობდნენ, რომ არჩევნების შედეგებს არ სცნობდნენ და ბანერები წინასწარ ჰქონდათ განსაზღვრული. მათ შორის ისეთი ადამიანები შეიერთეს, ვისაც თვითონ უნერდნენ მათივე ეგზიტიპოლის შედეგებს. ახლა კი ამ ადამიანებთან ერთად

გაყალბებაზე საუბრობენ. როდესაც ნახეს, რომ კამპანიის ისეთ მასშტაბებს ვერ მიაღწიეს, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საკითხი დამდგარიყო, ახლა ყველა საბაზს იყენებენ იმისთვის, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. ახლა როცა ჩანაწერები გა-



მოქვეყნდა, თუ ობიექტური ჭეშმარიტება აინტერესებთ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები კი არ უნდა მოითხოვონ, არამედ მოითხოვონ, სამართლიანი გამოძიება ჩატარდეს ჩანაწერებთან დაკავშირებით, ლოგიკური ესაა. ანუ, მიზანი რა არის? – მიზანი არის ერთადერთი – რამენაირად რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, თუმცა, ამოცანა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაშიც არაა, რადგან თავადაც კარგად იციან რიგგარეშე არჩევნები რა შედეგითაც დასრულდება, მათი ამოცანაა, ამ ღოზუნგით, ვითომ მათ წაერთვათ სამართლიანი არჩევნების უფლება და ხელისუფლებაში ძალადობრივი გზით უნდა მოვიდნენ!

– ანუ მათ ამ ჩანაწერებით მხოლოდ რიგგარეშე არჩევნების ჩატარება სურთ?
– ეს არის მთელი მათი ამოცანა. არჩევნები და საარჩევნო გარემო რომ აინტერესებდეთ, როგორც მინიმუმ, საარჩევნო კოდექსზე მაინც იმუშავებდნენ, ვიდრე რიგგარეშე არჩევნებზე ისაუბ-

რებდნენ. მაგრამ, ზეარჩევნებიც რომ დაინიშნოს, იციან, რომ ხელისუფლებაში ვერ მოვლენ. ამიტომ, ყველა საბაზს იყენებენ იმისთვის, რომ მოსახლეობაში საპროტესტო ტალღა ააგონონ. ნახეთ, ჩანაწერები როგორ გამოაქვეყნეს – თითქოს ეს ჩანაწერები ახლანდელი მოპოვებულია, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. არადა, ძალიან კარგად იციან, როდის არის ისინი ჩანაწერი. ამიტომაც არ გამოიყვანეს იმ ბავშვების მშობლები და არ ჩანერეს, რომ სიმართლე არ გაერკვიათ. თქვენ ხედავთ, რომ ტექსტში ჟურნალისტი აცხადებს, თითქოსდა სცემეს და ა.შ. საბოლოო ჩანაწერებში კი გაირკვა, რომ ბოდიშებზე იყო საუბარი, მაგრამ მოსახლეობას განცდას უქმნიან – ეს რა დამპალი მთავრობა გვყავს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთ-ერთ ტელეკომპანიაში ჩემზე გავიდა სიუჟეტი და ერთ ქორწილთან დამაკავშირეს. ვითომ ჩემი მფარველობით პანდემიის დროს ქორწილი გააკეთეს, სადაც დაბატიყუებულიც არ ვიყავი, ასევე არც ნეფეს და არც პატარძალს არ ვიცნობ. ყველაზე დიდი ნონსენსი ის იყო, რომ სულ სხვა თემაზე ჩანერილი ჩემი კომენტარი გამოიყენეს ამ სიუჟეტისთვის, თითქოსდა ამ ქორწილთან დაკავშირებით მკითხეს და მე ვუპასუხე: „რა ვქნა ზოგჯერ გამონაკლისები ხდება“. ეს არის ფაბრიკაცია, რომ ადამიანებში განწყობა შექმნან, რომ ეს რა ბინძური, უმოქმედო მთავ-

ნაწერები უკრაინაშია და იქიდან ხდება მისი გამოქვეყნება?

– არ ვიცი, უკრაინაშია თუ რუსეთში, ფაქტია, რომ ამ ჩანაწერებზე იხარჯებოდა უზარმაზარი ფული. ეს ისე არ იხარჯებოდა, რომ ვილაცას ვილაცის პოლიტიკური ორიენტაცია ან ინტიმური ცხოვრების ელემენტები მოსწონდა და ამიტომ იღებდა. ამას აგროვებდნენ იმისთვის, რომ ყველა ადამიანზე კომპრომატები ჰქონოდათ. მაშინაც კი ვამბობდი, რომ სანამ ამას განადგურებთ, გამოძიება ერთი მხრივ იმისთვისაა საჭირო, რომ დაადგინოთ, ამას ვინ აკეთებდა, სად ინახებოდა, ან ვის ჰქონდა წვდომა, ვის შეეძლო, გაეტანა. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ყველა ნორმის დაცვით, ისე რომ არ გამოქვამდეს და საზოგადოებაში არ გავრცელდეს მათი ინტიმური ცხოვრების დეტალები, გრიფი „საიდუმლოც“ უნდა დაედოს, მაგრამ იმ ადამიანებს კითხეთ, ხომ არ აღმოჩნდა რომელიმე მათგანი იმ ტერორის მსხვერპლი, როდესაც დაიბარეს, ეს ჩანაწერები აჩვენეს და მოსთხოვეს ან ეს გააკეთეს ან – ისო; ხომ არ ჩაიღინეს ამ ადამიანებმა უკანონობა?! ეს ყველაფერი გასარკვევია.

სამწუხაროდ, ჩვენი არასამთავრობოების წარმომადგენლები ხომ ტრენდულად ფიქრობენ და, მაშინაც კი, ჩემდა სამწუხაროდ, პირი შეკრეს ისე, რომ სამართლებრივ საფუძვლებს არ შეხედეს. ყველა კარი ატალახეს, მათ შორის – ევროკავშირის, თავისი წერილებით და გააკეთეს ის, რაც გააკეთეს – მიაღწიეს შედეგს. რამდენიმე წლის შემდეგ კი, თავადვე აცხადებდნენ, რატომ არ გამოიძიებოთ. კითხვა რომ დაგსვი, თქვენ არ იყავით ის ხალხი განადგურებას რომ ითხოვდით-თქო? – ჩვენ რა, ჩვენ პასუხისმგებლობა არ გვექონდა. ხელისუფლებაში ვინც იყო, პასუხისმგებელიც ის იყო. მე მინდა, რომ გთხოვო ჩემი განსხვავებული მოსაზრება გამოაქვეყნოთ, რომელიც მაშინ განადგურების ოქმსაც თან დაერთო.

– ახლა თუ დაიწყება გამოძიება?

– ახლა რთული იქნება. გამოძიების დაწყება ძალიან მარტივია, მაგრამ რთული იქნება გამოძიებისთვის სრული ობიექტურობის დადგენა. შეიძლება ეპიზოდურად რამე დაადგინონ, თუმცა რთული იქნება დადგენა, ვის ჰქონდა წვდომა და ვინ გაიტანა ჩანაწერები. რა თქმა უნდა, იმან გაიტანა, ვისაც წვდომა ჰქონდა; რა თქმა უნდა, წვდომა ბევრ ხალხს არ ექნებოდა, თუნდაც სამართალდამცავი სისტემის თანამშრომლებს. ამიტომ, ახლა გამოძიება სერიოზულად გართულდება, თუმცა გამოძიების ჩატარება მაინც საჭიროა.

– ამ ჩანაწერების შემდეგ, ოპოზიცია ისევ ვადადელი არჩევნების ჩატარებაზე ალაპარაკდა და ის მოლაპარაკებები, რომლებიც უნდა გამართულიყო ჩიშალა?

– არ ვიცი. არ ვარ ჩართული პარტიულ საქმიანობაში. შესაბამისად, არც ის ვიცი, ვინ ვის ელაპარაკება ჩვენი გუნდიდან. სამწუხაროდ, ზოგჯერ რაღაცებს ვინ ვიგებ. ამიტომ, ინფორმაცია არ მაქვს მოლაპარაკებების შესახებ ან მისი გამართვის თარიღებზე. ვიცი მხოლოდ ის, რაც პრესაში გამოდის. რამდენადაც ვიცი და „ქართული ოცნების“ მხრიდან რა განცხადებებიც იყო გაკეთებული, ჩვენი გუნდი პირდაპირ აცხადებს, რომ რიგგარეშე არჩევნებზე საუბარი არაა. იმის იქით კულუარებში რა არის, არ ვიცი.

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხზე მომუშავე დროებითი კომისიის წევრის კახი კახიშვილის განცხადებით

ბანსხვავებული აზრი
2013 წლის 3 სექტემბერს უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხზე მომუშავე დროებითი კომისიის მთელი განდევნილება შსს-ს მინისტრის როს თანამშრომლების მიერ წლების მანძილზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მასალების იმ ნაწილის განადგურების თაობაზე, რომელიც მოქალაქეების პირად (სექსუალურ) ცხოვრებას შეეხება.

ვადასტურებ პატივისცემას კომისიის წევრებისა და მათი გადაწყვეტილების მიმართ. მადლობელი ვარ, რომ მისიამ გაითვალისწინა ჩემი და ჩემი თანამოაზრეების არგუმენტები და არ მიიღო გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოჩენილი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული უკლებლივ ყველა ფაილის განადგურების შესახებ, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია დიდწილად საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცულობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოკლებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ საფუძვლებსა და სტანდარტებს.

ვინაიდან, მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შეუსაბამობის დასადასტურებლად სახეზეა გაცილებით მეტი სამართლებრივი არგუმენტი, ვიდრე მიღებული გადაწყვეტილების სისწორის დამადასტურებელი, შევცდები მხოლოდ ძირითად და სამართლებრივ არგუმენტებზე გავამახვილო კომისიისა და საზოგადოების ყურადღება:

1) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში აღმოჩენილი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მასალა წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას, ანუ მასალას, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან - თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის საქმესთან, რომლის გამოძიების შედეგად, მითითებულ მტკიცებულებათა დახმარებით უნდა დაედგინა დამნაშავე პირები – დამკვეთები და შემსრულებლები, ასევე უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო დაზარალებულ პირთა ყოვლისადაც უფლებების დაცვა. ამასთან, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ აღმოჩენილი მასალა წარმოადგენს ზღვაში წვეთს იმ მასალასთან შედარებით, რომელსაც სხვადასხვა მიზნითა და მოტივით დანაშაულებრივი გზით მოიპოვებდნენ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, ხოლო ამ მასალის დიდი ნაწილი გატანილია. გაუგებარია, როგორ უნდა დადგინდეს დეტალური გამოძიების გარეშე ამ მასალის გამტანების ვინაობა, უზრუნველყოფილ იქნეს მათი ადგილსამყოფლის დადგენა, ამოღება და დამნაშავე პირების პასუხისმგებლობა. აქვე მსურს აღვნიშნო - აზრი იმის შესახებ, თითქოს ყოველივეს უზრუნველყოფა მოხდებოდა დარჩენილი მასალის გამოყენებით – არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან თითოეულ ცალკე აღებულ დანაშაულის საკუთარი დამკვეთი და შემსრულებელი ჰყავს, ასევე დანაშაულის ჩადენის განსხვავებული მოტივები, ხოლო თუ ასეთი - ერთი პიროვნება ან ერთი ჯგუფია, აღნიშნულიც სწორედ გამოძიების ფარგლებშია დასადაგნი.

2) ხსენებული მასალის დახმარებით გამოძიების შედეგად, შესაძლებელი იყო იმ მოტივებისა და განზრახვის დადგენა, რომელიც საფუძვლად დაედო ასეთი ტიპის სისტემური დანაშაულის მომზადებასა და ჩადენას. კერძოდ, ვინაიდან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლები წლების განმავლობაში შერჩევით, მიზანმიმართულად აწარმოებდნენ დანაშაულებრივი გზით მოქალაქეების მიყურადებასა და თვალთვალს, გამოძიებას უნდა დაედაგინა აღნიშნულის მოტივები: ხომ არ ჰქონდა ადგილი მაკომპრომეტირებული მასალების გამოყენებითა და გასაჯაროების მუქარით ადამიანების მიმართ შანტაჟს, წამებას, დანაშაულში ჩათრევას ან იძულებას. მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა დამდგარიყო სასტუმროების იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც მოქმედებით თუ უმოქმედობით ხელ შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას და უკანონოდ, სასტუმროების ნომრებში დამნაშავე პირებს დაამონტაჟებინეს ფარული კამერები;

იხ. 8 გვ.


საქართველოს მთიანეთის პრობლემების კოვალესური უსწავლის კომისიის სტომა



2021 წლის 4 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მთიანეთის პრობლემების კომპლექსური უსწავლის კომისიის მორიგი (ამა წლის პირველი) სხდომა, რომელიც მთლიანად მიეძღვნა სვანეთის რეგიონის უახლესი პრობლემების წარმოჩენასა და ანალიზს.

სხდომაზე მოხსენება – „სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები“ – წარმოადგინა მთის კომისიის სწავლულმა მდივანმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა მირონ ფირცხელანმა.

როგორც თემის დასახელებიდან ჩანს, მომხსენებელმა წარმოადგინა ვრცელი, მრავალმხრივი ანალიზი სვანეთის რეგიონის სამეურნეო-ეკონომი-



კური გამოცდილების ისტორიის, თანამედროვე ვითარებისა და პერსპექტიული შესაძლებლობების შესახებ. მან უპირველესად წარმოაჩინა რეგიონის ობიექტური პოტენციალი, ანუ რესურსები (ბუნება, წყალი, ტყე, ნიაღისეული...) და სოფლის მეურნეობისა და საწარმოო საქმიანობის ობიექტური შე-



სვანეთის განვითარების პრობლემები

საძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება, შემდეგ კი ეს შესაძლებლობები განიხილა კონკრეტული დარგების მიხედვით: მესაქონლეობა, მეცხვარეობა-მეთხევობა, მინათმოქმედება, მეფუტკრეობა... მოხსენებაში კარგად გამოჩინდა, რომ ამ დარგების განვითარებისთვის სვანეთს ჩინებული პოტენციალი აქვს, რაც, თავის მხრივ, იმით არის განპირობებული, რომ ეს რეგიონი შედარებით ნაკლებად არის დაცარიელებული მოსახლეობისაგან და დასახული ამოცანების გადაწყვეტა სამუშაო ძალის დეფიციტს არ შეხვედბა.

წარმოდგენილი ანალიზის უპირატესი მხარე ისიც იყო, რომ თითოეული დარგის პერსპექტივა დეტალურად, თითქმის ბიზნესგეგმის დონეზე იყო ნაჩვენები, თავისი პრიორიტეტებითა და რისკებით.

მომხსენებელმა მნიშვნელოვანი დრო და ყურადღება დაუთმო წყლისა და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობას. მისი კონცეფციით, ბუნებას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ ისე, რომ, იმავე დროს, ქვეყნისა და მოსახლეობის ეკონომიკური ინტერესები არ დაზარალდეს.

განსახილველი თემის ცალკე ასპექტი იყო სვანეთის უნიკალური ბუნება და ის ტურისტული პოტენციალი, რაც ამ რეგიონს აქვს როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის სეზონისთვის. ამ კონტექსტში დაისვა, ერთი მხრივ, ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და, მეორე მხრივ, სვანეთის ახალი გზის მშენებლობის საკითხი, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს სვანეთის პოტენციალის უფრო ეფექტურად გამოყენებას.

მოხსენებას ესწრებოდნენ და განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელმა პირებმა (აკადემიკოსებმა – გ. კვესიტაძემ, რ. მეტრეველმა, რ. ხურციამ), სვანეთის რეგიონის წარმომადგენლებმა, ცნობილმა მოღვაწეებმა ე. საღლიანმა, მ. ხერგიანმა, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა – ტ. ჩიგოგიძემ, კ. არაბულმა, ზ. მალრაძემ და სხვ.

გადაწყდა, დაინეროს საერთო მიზნითი წერილი საქართველოს მთიანეთის ყველაზე აქტიუალური, მოსაგვარებელი პრობლემების შესახებ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური



მე კი არ ვიპოვნე, თქვენ შემოხვედით ჩემს კომიტეტში და ერთხელ არ დაბანტირებთ, რა ხედავ მაქვს, რას ვაკეთებ!



განხილვისას თეა წულუკიანმა განაცხადა. განათლების კომიტეტმა მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი, როგორც განათლებისა და კულტურის სამინისტროს გაყოფას, ასევე კულტურის კომიტეტის ცალკე შექმნას. კანონპროექტის ავტორები ცვლილებების მთავარ მიზნად კულტურის სფეროს უფრო მეტად განვითარებას ასახე-

ლებენ. ინიციატივას მხარს არ უჭერს პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი ალექო ელისაშვილი. მის შეკითხვას, რა საჭიროა ცვლილების მიღება პარლამენტსა და მთავრობაში, თეა წულუკიანმა უპასუხა.

„გამიკვირდა, თქვენ რომ წევრი გახდით, არც კი მოითხოვეთ კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრა. ახლა მე გთხოვთ თქვენ შეხვედრას. სულაც არ არის სასაცილო. მე კი არ ვიკბინები. თქვენ შემოხვედით ჩემს კომიტეტში და ერთხელ არ დაგანტირებთ, რა ხედავ მაქვს, რას ვაკეთებ. თქვენ ძალიან სწორი აზრი თქვით, რომ უნდა გაიზომოს, რას მოიტანს ცვლილებები. ამიტომ, თქვენ თუ გეყნებათ სურვილი და ჩემი არ გეშინიათ და მგონი არ გეშინიათ, შეგვხვედით და მე თქვენ აგისხნით, სად ვართ დღეს, რა არის პრობლემები, რა გააკეთა კომიტეტმა და რა უნდა მოვთხოვოთ ამ კომიტეტს“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.



ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერ-ეკონომისტის ნოდარ ჭითანავას დაბადებიდან 85 წელი შესრულდა. რეგალიებისა და დამსახურებების ვრცელი ჩამონათვალის გარეშეც კი, მხოლოდ ამ გვარ-სახელის სხენებაზე, უფროსი თაობის ადამიანებს პატივისცემის, მონივნების განცდა ეუფლებათ.



სამეცნიერო-კვლევით თუ პედაგოგიურ საქმიანობას.

ნოდარ ჭითანავას მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილება ასახულია მის ფუნდამენტურ ნაშრომებში „საბაზრო ეკონომიკა და აგრესიული ეკონომიკის მართვის სრულყოფის პრობლემები“, „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები“, „შერეული მრავალწობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა“, „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (3 ნაწილად), „სოციალური ეკონომიკა, ფორმირება, განვითარება“.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ მისი მონოგრაფია: „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“, უნიკალური „სამეცნიერო განძია“, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდგომი პერიოდის ეკონომიკური გარდაქმნების შეფასება, ავტორის უკიდვანო გამოცდილება, იდეები და საქართველოს განვითარების სტრატეგიაზე მოსაზრებები.

განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა ნოდარ ჭითანავას წერილების სერიები: „გლობალური გამოწვევები ერთობლესიანი მსოფლიოში... გარღვევის სტრატეგიის კონცეპტუალური წახანაგები“, რომელიც მიეძღვნა კორონავირუსის ეპიდემიით შექმნილ გლობალურ გამოწვევებსა და აქედან გამომდინარე, კრიზისულ მოვლენებს. მეცნიერი პირველი გამოქმნილია მასშტაბურობით, საუკუნის დასაწყისის ამ უდიდეს დამანგრეველ მოვლენას და განსახორციელებელ პრევენციულ, ანტიკრიზისულ და პოსტპანდემიური პერიოდის ღონისძიებებზე მეტად საინტერესო მოსაზრებები შემოგვთავაზა.

მის სამეცნიერო კვლევებში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს სტრატეგიული განვითარების პრობლემებს, ეროვნული თანხმობის აუცილებლობას, ურომლისოდაც შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა და განვითარება, გლობალურ პროცესებთან ადაპტირება და საქართველოს დამკვიდრება ცივილიზებულ სამყაროში.

ნოდარ ჭითანავა ახალი თაობებისთვის გზის გამკვლავალი, დამრიგებელი, ერისშვილობის, პატრიოტული სულისკვთების მაგალითია. საუკუნეებს გადასწვდება ახალგაზრდებისთვის მისი მიმართვა: „იყავი ჩვენზე ძლიერი, ჯანმრთელი, მართალი, მუდამ და ყველგან ერთგულად ემსახურეთ სამშობლოს“.

„მაღალი ნიჭი, ცოდნის თანამედროვე ჩარხზე გალესილი ჭკუა, ქვეყნის წინაშე უზენაესი პასუხისმგებლობა ჩაკირულ-ჩადუღებულ ქართული პატიოსნების ბალავარში - ის პირობა-ფაქტორია, რომელიც 21-ე საუკუნეში საქართველოს ალმაველობის დიდ გზაზე გაიყვანს“.

ვულოცავთ ბატონ ნოდარს სახელოვან იუბილეს. დღეგრძელობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ვუსურვებთ.

გეორგიანთა სახელობის

ოთარ ფაცაცია, გურამ ალექსიძე, გონიარ არახაშიძე, თეიმურაზ ბაგუნიანი, გივი ზაფიანაშვილი, ვახუშტი ბერიძე, დევიდ ბაგუნიანი, ლაშა გვახაძე, ლარისა თაყაიანი, მურმან კვარაცხელია, იმრო კვიციანი, პაატა კოჭლავაძე, ვახუშტი კვარაცხელია, ლევან მუხომანი, ნაპო მუსხიანი, გიორგი ნაჭყვიაძე, მურმან ნაჭყვიაძე, ზაურ ნაჭყვიაძე, გური ოტოხაიანი, იური პაპაძე, მიხეილ ჩიკვილაძე, ზურაბ სონელიანი, ოთარ სუფანიანი, მიხეილ ჯიჯიანი, ზორბეგ ჯიჯიანი, დავით ჯალაღონი.

მასშტაბურად მოსწონება ნოვატორი მესნიერი

ღრმად დაფიქრებული მამულიშვილი, რომელსაც თავდადებული შრომით, უნიკალური გამოცდილებით და აქტიური მეცნიერული მოღვაწეობით საქართველოს განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს.

მის სამეცნიერო ნაშრომებსა თუ მონოგრაფიებში ასახულია ღრმა ფიქრის, განსჯის, საკუთარი გამოცდილებისა და ემოციის ნიაღში გამოვლილი მოსაზრებები, რომლებსაც, შესაძლოა, თამამად დაეფუძნოს საქართველოს განვითარების სტრატეგია და სახელმწიფოს ეროვნული იდეოლოგია.

ნოდარ ჭითანავას მეცნიერული მიღწევები განსაკუთრებით გამოიკვეთა გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა იგი სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. ბატონი ნოდარის ხელმძღვანელობით, უშუალო მხარდაჭერით ათეულობით მაძიებელმა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები დაიცვა. ისინი დღეს წარმატებით აგრძელებენ ხელმძღვანელის მიერ გაკვალულ გზას

რება“, „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“, „საქართველოს სოფლის მეურნეობა ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები“.

ნოდარ ჭითანავას მეცნიერული მოღვაწეობის მთავარი ორიენტირია ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ფასეულობების იდენტიფიკაცია. ეს ყველაზე ნათლად გამოიკვეთა 2000-იან წლებში გამოცემულ კრებულში: „გაშინების ბატონობა, საქართველოს დაშლა“, სადაც მისთვის ჩვეული სიღრმითა და პირდაპირობით ამხელს იმ მეტასტაზებს (დაპირისპირებას), რაც ყოველთვის უშლიდა და დღესაც უშლის ხელს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არსებობას;

მრავალქაშიერი!

სამართლიანად ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს გამოჩენილ მეცნიერს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს ბიზნესისა და ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, დიდ მამულიშვილსა და ღირსეულ პიროვნებას ბატონ ნოდარ ჭითანავას დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო თარიღს.

ბატონი ნოდარის ცხოვრება და მოღვაწეობა მისი საქმიანობის ყველა ეტაპზე იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა იცხოვრო ადამიანი დროში იმ ქვემარტებით, რაც შენ მოგდევს იმ ოდაბადედან, სადაც შენ დაიბადე და გაითავისე სამშობლოს სიყვარული, ისწავლე, თუ როგორ უნდა იშრომო შენი ქვეყნის წინსვლისა და კეთილდღეობისთვის, თუ როგორ უნდა დაიხარჯო ბოლომდე ახალგაზრდობიდან მოყოლებული დღემდე ერისა და ქვეყნის სამსახურში. ეს ყველაფერი ერთი ღირსეული ქართველი მამულიშვილის ჩვენი პატივცემული ბატონი ნოდარ ჭითანავას ფენომენია თავისი დიდი ერისკაცობით, მამულიშვილობით, მეგობრობაში უღალატობით და იმ უმნიშვნელო სახელით, რაც მისი ცხოვრების კრედოს წარმოადგენს.

დღეგრძელობა და მზვერძელობა თქვენ ბატონო ნოდარ, თქვენს ძვირფას მეთელესთან ქალბატონ ქეთევანთან, თქვენს ბრწყინვალე ქალიშვილებთან და იმ უსაყვარლეს შვილიშვილებთან ერთად, რომლებსაც ანთებული კაშკაშა ლამპარით გაუნათეთ მათი მომავალი ცხოვრების გზა.

ჯანმრთელობა და ბედნიერება, გახარება და სიკეთე არ მოგკლებოდეთ დიდხანს და დიდხანს, იცოცხლეთ მრავალქაშიერი.

უღრმესი პატივისცემითა და კეთილი სურვილების საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სახელით:

თეიმურაზ ბაგუნიანი, აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ორგანის დირექტორის ორდენის კავალერი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.



80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, თეოლოგი და საზოგადო მოღვაწე ვიქტორ გიორგის ძე რცხილაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ვიქტორ!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი თანამოკალმე ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით მოგესალმებიან ჭეშმარიტ შემოქმედს, ჭეშმარიტ ერისკაცს და გილოცავენ ღირს შესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

დიახ, ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი უაღრესად მნიშვნელოვანი და ფასეული შემოქმედებითი ცხოვრება.

მარტინ ჰაიდერის „რა არის ფილოსოფია“ იყო ის პირველი მრავალმხრივ საინტერესო ქმნილება, რომელიც თქვენ ქართულად თარგმნეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებულ „მიმომხილველში“ გამოაქვეყნეთ და ქართველი საზოგადოებისთვის საცნაური გახადეთ თქვენი შემოქმედებითი ინტერესების ფართო სპექტრი, ღრმა ინტელექტი და თვალსაჩინო მასშტაბურობა...

ჩვენს სამწერლო ოჯახს თქვენი სახით მრავალმხრივი და მრავალნაზნაგოვანი შემოქმედი ჰყავს, რომელსაც სრულად აქვს გასაგრძელებელი მწერლის როლი და მნიშვნელობა ჩვენს უაღრესად რთულ, ქაოსითა და შეჭირვებებით სავსე სამყაროში.

ქართველი მკითხველის ცხოველი დაინტერესება გამოიწვია თქვენმა საყურადღებო მასშტაბურმა რომანმა „თბილისის ღამე“, რომელშიც მწერლური ხელოვნებით და დიდი ადა-

ჭეშმარიტი შავოქაედი და პრისკასი

მიანური სიძარბოთი არის აღწერილი საბჭოთა იმპერიის მარნუხებში მოხვედრილი ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყნის ყოფა და ვაება... ქართული, და არა მარტო ქართული, ლიტერატურის უბადლო მცოდნე და განმჩხრეკელი ბრძანდებით, რისი დასტურიცაა თქვენი წერილები ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, დანიელ ჭონქაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიქელიძის, ლევან გოთუას, გიორგი ლეონიძის, შოთა ჩანტლაძის, ბასილ მელიქიშვილის, ჭაბუა ამირეჯიბის, ემ-

ზარ კვიციანიშვილის, გუსტავ ფლობერის, შარლ ბოდლერის, რაინერ მარია რილკეს, მიხეილ ბუღაკოვის, თომას მანის, ჰერმან ჰესეს, ფრანც კაფკას შემოქმედების შესახებ.

და მაინც ჩვენთვის თქვენ, უპირველესად, ფართო თვალსაჩინოების მქონე ღრმად განსწავლული თეოლოგი და ფილოსოფოსი ხართ. ზედმიწევნით სრულყოფილად იცნობთ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურას, სრულყოფილად ერკვევით რელიგიურ მოძღვრებებში, რისი დასტურიცაა თქვენი ისეთი ნივთები,

როგორცაა „სულთა გამოცხადებანი და სპირიტუალური მართლმადიდებლური რწმენის სამსჯავროზე“, „პროზა, რელიგია, კრიტიკა“, „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“, „ახალი კრებულები“, „მე-20 საუკუნის გერმანელი მოაზროვნეები ღვთის არსებობის შესახებ“, „ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებული. 2020“, „ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებული. 2021“. ზუსტად იმავე მიზნებს ემსახურება თქვენი თარგმანები თეოლოგიისა და ფილოსოფიის ისეთი დიდი წარმომადგენლებისა, რომლებმაც ღრმა კვალი გაავლეს მათთვის აზროვნების ისტორიაში.

რომანო გუარდინის „რელიგია და გამოცხადება“ და „სასწაული და ნიშანი“, ჰანს უედლმაიერის „თანამედროვე ხელოვნების რეგოლუცია“, ავგუსტ ბრუნერის „ფილოსოფიის ძირითადი საკითხები“, „გერმანელი მისტიკოსები“, იოანე პესენის „პლატონიზმი და პროფეტიზმი“, კონრად პაულის-მანის „სიორენ კირკეგორი“, არტურ შოპენჰაუერის „სამყარო, ვითარება ნება და წარმოდგენა“, ალექსეი ლოსევის „მითის დიალექტიკა“, ჰეგელის „რელიგიის ფილოსოფია“ - აი, იმ ავტორთა და ნაწარმოებთა არასრული სია, რომლებსაც ასე ეცხოველებით ეცნობიან საქართველოში.

წლების განმავლობაში მუშაობ-

დით იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის მუზეუმის მეცნიერთანამშრომლად, საქართველოს სახელმწიფო პოლიგრაფიისა და საგამოცემლო საქმის სამსახურის თავმჯდომარედ; ლექციებს კითხულობდით თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე თეოლოგიის ისტორიასა და რელიგიის ფილოსოფიაში.

როგორ შეიძლება ღრმა მონივრობისა და პატივისცემის გრძობით არ განვიმსჯელოთ იმ ღვაწლის მოხსენიებისას, რომელიც თქვენ დასდეთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ალორძინებას ჩვენს საესავ სამშობლოში.

ოცნებობდით დამოუკიდებელ, ჭეშმარიტად თავისუფალ საქართველოს და სწორედ ეს არ გაპატიეს, არ გაპატიეს ქედუხრელობა, ვაჟაკობა და ვინ მოთელის, რამდენჯერ დაგაპატიმრეს და ხან ციხეებში, ხანაც გადასახლებაში ცდილობდნენ თქვენს დამონებასა და არაკაცად ქცევას. საოცარია ღმერთმანი, როგორ გაუძელით იმ ჯოჯოხეთს, როგორ სძლიეთ ლუციფერთა ნაშეირებს. ფოლადივით ინრთობდით და უფრო ძლიერი და ქედუხრელი ბრუნდებოდით მშობელ ქვეყანაში...

თქვენს ჯილდოებს შორის ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ეროპული ინსტიტუტის პრემია გამოირჩევა, იმ ილია მართლისა, რომლის არჩეული გზიდან არასოდეს გადაგხვევით.

ბატონო ვიქტორ! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ მწერალსა და მამულიშვილს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და საქართველოს გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნათელი და წარუშლელი

ვიქტორ რცხილაძის ღვაწლიანი წლები

XX საუკუნის მიმწერის ჟამს საქართველო იყო მომსწრე და მონაწილე „ჰეროიკული მისტერიები“ ალბერტ ლიონის მოვლენებისა, რომელთაც თავისუფალ და დამოუკიდებელ სამშობლოზე დიდი ხნის ოცნება რეალობად უნდა ექცია.

დრო-ჟამის შემზარავი „მარნუხების“ მიუხედავად, იყვნენ ახალგაზრდობები, რომელთაც შესძლეს ორთოდოქსი პატრიოტიკის „მძიმე ჯვრის“ ღირსეული ტარება...

დოგმატებისა და მკვერად შობილი იდეოლოგიის გამძვინვარებული მეუფების ატმოსფეროში, მათ შეძლეს, ქვეყნის დამოუკიდებლობა საყოველთაო კატეგორიულ მოთხოვნად ექციათ.

საუკუნის ამ ეპოქალური „ჯანყის“ ერთი ჭეშმარიტი პროტაგონისტი ვიქტორ (დოდო) რცხილაძე იყო.

ამაღლებული, რომანტიკული იდეალების მოთაყვანე, იგი ახალგაზრდობიდანვე მთელი არსებით იზინაგნებდა და ირეკლავდა ერის ისტორიული ცნობიერების კონცეპტუალურ პარადიგმებს, სამშობლოს ძლიერად მოხილვას წარსულის შთამბეჭებელ აქცენტებს.

ენციკლოპედიურმა ცოდნამ და სულიერმა უნივერსალიზმმა შვა მასში ე. წ. ინტელექტუალური ოაზისი...

ბუნებით მაძიებელი, ანალიტიკური წვდომის ჟინით „ატანოლი“ და ინტერესთა უფართოესი დიაპაზონით გამორჩეული, იგი კვლავ ამშვენებს და სულიერად ამდიდრებს ჩვენს ამაო ხმაურით დაღლილ-დაქანცულ რეალობას.

როგორც მოაზროვნე, მან შეძლო ალექვა და ონტოლოგიური სიღრმით გაეშინაგნებინა სამყაროს სულიერი კულტურის კოლოსალური მასშტაბები.

თუნდაც, სრულიად უნიკალურია მისი დაუღალავი ღვაწის შედეგი - მსოფლიოს ცნობილ ფილოსოფოსთა ოპუსების ქართულ ენაზე ამტყვევებისა და კომენტარების სახით. საგულისხმოა, რომ რაფინირებული აზროვნების დისკურსს მათში ოდენ მთარგმნელის სულის გამომხილველს ერწყმის, რაც კიდევ უფრო ცხადს ხდის ყოფიერებასთან მარადმოპა-

ექრე ზოგადი ადამიანის მსოფლგანცდას...

გავიმეორებ, რომ ვიქტორ რცხილაძის ჭეშმარიტად დიდმა შემოქმედებითმა ტალანტმა ამ უაღრესად მნიშვნელოვან სფეროსაც „შეაშველა“ მისი ფართო და ღრმა ინტელექტი.

და კიდევ; პოეზიის სიბრძნისა და მშვენიერების აპოლოგეტი, რომანტიკული იდეალების ერთგული რაინდი, სამყაროს ინტელექტუალურ სივრცეში ლაღად „მოლივლივ“, ღვაწლმოსილი მოქალაქე მისთვის სათაყვანებელი ქვეყნისა, ჩინებული შემოქმედი და მოაზროვნე - ასეთია ამ ღირსეული პიროვნების ყოფიერებისა და ღვაწლის პარადიგმათა დიაპაზონი.

გონებით კვლავ და კვლავ გაბრწყინებული, სამშობლოს წინაშე ვალდებული და სულით ნეტარი ეგებება იგი თავის 80 წლისთავს...

მხოლოდ ამგვარად წარმოვადგენ ჩემი ძვირფასი მეგობრის ხატს, მის ეგზისტენციურსა თუ სულიერ გრადაციასა „ნუსხას“... ანუ წარმოვიდგენ დრო-ჟამის კიდევ ერთ რჩეულს, თავისი ადამიანური შტრახებითა და ჭეშმარიტი სიბრძნით, შინაგან არტისტიზმითა და პატრიოტული ვნებებით, სულიერი არისტოკრატიზმითა და უფლისგან შთაგონებული ერისკაცობით. ყოფიერების ტრივიალური სივრციდან ამოზიდული, იგი თავისუფალი ერისა და მორალური ადამიანის გუნდრუკის მკმეველია. დეტერმინირებული ადამიანური როლის განვრცობა, ოდიოზურ უფლებათა „ნაჭუჭიდან“ გამოღწევა და ჭეშმარიტი თავისუფლებით ნეტარება მისი იდეალი...

ასეთია იგი დღესაც, ოდენ მიზეზთა გამო საზოგადოებისაგან განრიდებული, თუმც დაუღალავი შემწე და მუშაკი ჩვენი ეროვნული სულიერებისა.

წილად მსვად პატივი, საჯაროდ მივულოცო მას საიუბილეო თარიღი.

შევთხოვ უფალს, მიანიჭოს ძალა სიცოცხლისა და შემოქმედებითი ღვაწლისა, ნება ამაღლებული სიყვარულით ტკობისა და უფლებზე უციერთან სულიერი შერწყმის ნეტარებისა...

ბურაბ ბენაშვილი

მეგობარი და მასწავლებელი

ჩემი ცხოვრების მანძილზე თუ მართლაც ვისმე ჭეშმარიტ მამულიშვილს შევხვედრივარ, რომლისგანაც, როგორც მეგობრისგან, ბევრი რამ კაცურკაცური მისწავლია, ერთ-ერთი ვიქტორ რცხილაძეა. მან ჯერ ერთი, უზარმაზარ გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიურ აზრს ქართულად გვაზიარა და, მეორედ, ორი საუკუნის მიჯნის უტყუარი მატრიანე შექმნა. ერთი სიტყვით, ფრიად და ფრიად პატივსაცემი და დასაფასებელი ქართველია, რომელსაც დიდი ძმური სიყვარულით ვულოცავ საიუბილეო თარიღს და, ვიმედოვნებ, საუკუნემდე დარჩენილ ორ ათეულსაც რცხილის ნეელი ტოტივით მოღუწავს...

არჩილ გოგელია

კიდევ დიდხანს...

ცნობილ მეცნიერსა და ლიტერატორს ვიქტორ (დოდო) რცხილაძეს ოთხმოცი წელი შეუსრულდა. ვულოცავ ჩვენს აქტიურ მკვლევარს ამ ღირსესანიშნავ თარიღს, რომელმაც უამრავი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ხასიათის ორიგინალური ნაშრომი გამოაქვეყნა და არანაკლებ დიდი მოცულობის თარგმანები შეასრულა.

ლა - თუნდაც ჰეგელის „რელიგიის ფილოსოფიის“ ან ლოსევის „მითის დიალექტიკის“ თარგმნა რად ღირს!

საქართველოს განათლებულ ნაწილს ვუსურვებ, რომ ვიქტორ რცხილაძეს კიდევ დიდხანს გაეგრძელებინოს თავისი სამეცნიერო და მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

თამაზ კვამჩანიაძე

გამორჩეული

მოგასალმებით, ბატონო ვიქტორ, გილოცავთ ღირსესანიშნავ თარიღს - დაბადების 80 წლისთავს.

თქვენ შეგიძლიათ, სამართლიანად იამაყოთ განვლილი გზით - როგორც შემოქმედებითი ხელსაყვანობით, ისე ეროვნული მოძრაობის საქმეში, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში შეტანილი წვლილით.

ნიჭიერება, ერუდიცია, იშვიათი შრომისმოყვარეობა - ეს თვისებები უხვად მოგმადლათ ღმერთმა.

ორიგინალურ შემოქმედებასთან ერთად, ინტენსიურად ეწევიტ ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას. ქართველ მკითხველს გააცანით გამოჩენილი ევროპული მოაზროვნეების - კირკეგორის, მარტინ ჰაიდერის, შოპენჰაუერის, რომანო გუარდინის, ნიკოლაი ბერდიაევის, ალექსეი ლოსევისა და სხვათა ერთობ მნიშვნელოვანი შრომები. ამით ხელს უწყობთ ქართველი საზოგადოების სწრაფვას ნამდვილი დასავლური ფასეულობებისკენ, ასრულებთ სულიერი შუამავლის მისიას ევროპასთან დაახლოების გზაზე.

გისურვებთ, ბატონო ვიქტორ, ჯანმრთელობას, მზებგრძელობას, კვლავინდებურად ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ქართული კულტურის სასიკეთოდ.

თინათინ ჩხაიძე



კახი კახიშვილი: პასუხი უნდა ვაბეზინოთ იმათ, ვინც ეს იპყრაბა!

(მასშტაბი გაზარდილია)

3) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს მტკიცებულებათა დართვის, შენახვის და განადგურების წესს. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გამოძიებისთვის ღირებული მასალის, სისხლის სამართლის საქმეზე დართვას წყვეტს გამოძიებელი, ხოლო განადგურებას – სასამართლო. ამრიგად, გაუგებარია და მოქმედ კანონმდებლობასთან შეუთავსებელია გამოძიებისა და სასამართლოს კომპეტენციის კომპლექსური მხრიდან უნებურად ჩარევა.

4) საზოგადოების რამდენიმე წევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება – თითქოს საქართველოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის ნორმათა შენახვისა და უკანონოდ მოპოვებული მასალის შენახვა აკრძალულია და ამ მიზეზით ეს მასალა უნდა განადგურდეს, არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, არეგულირებს ოპერატიული თანამშრომლების საქმიანობას, კომპეტენციას და უფლება-მოვალეობების ზღვარს. ამ კანონის უხეშად და სისტემატურად დარღვევა წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ თანამდებობრივ დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ფაქტი აუცილებლად უნდა იყოს სრულყოფილად გამოძიებული, ხოლო დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივ დევნასა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მკაფიოდ არეგულირებს და ადგენს გამოძიების მიმდინარეობას, მტკიცებულებების მოპოვების, დართვისა და განადგურების წესებს და ასეთი გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს – გამოძიების ორგანო და სასამართლო.

5) არგუმენტად ვერ გამოდგება ვერც ის მოსაზრება, თითქოს არსებობს საერთაშორისო გამოცდილება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი მე-8 მუხლი, ევროპის საბჭოს საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტული გა-

დაწყვეტილებები, რომელთა მიხედვით, თურმე ასეთი საქმეების გამოძიება არ შეიძლება, ვინაიდან ესება მოქალაქეების პირად ცხოვრებას. წარმოუდგენელია, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთი ტიპის დანაშაული არ გამხდარიყო სრულყოფილი გამოძიების საგანი, ხოლო ფაქტობრივი მტკიცებულებები განადგურებულიყო. სწორედ ამ კონვენციის მუხლები დაარღვიეს იმ შსს-ს თანამშრომლებმა, რომლებიც აწარმოებდნენ პირად ცხოვრებაში უხეშად ჩარევას და ზუსტად ამის გამო უნდა დადგეს მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ხოლო ამ მასალის განადგურებით, ფაქტობრივად შესაძლებელია, დამნაშავე პირებმა თავი აარიდონ პასუხისმგებლობას. ამასთან, ვალდებული ვარ, აღვნიშნო, რომ მიუხედავად ხშირი აპელირებისა ევროპულ კონვენციასა და მის პრეცედენტულ სამართალზე, ჩემს მიერ არაერთგზის დასმულ კონკრეტულ თხოვნაზე წარმოდგენილი ყოფილიყო მიზანდაც ერთი კონკრეტული გადაწყვეტილება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან, რომელიც დაადასტურებდა მასალის განადგურების აუცილებლობასა და გამოძიების შეწყვეტის მიზანშეწონილობას, კონკრეტული პასუხი დღემდე არ მიმიღია.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კომისიის გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლების მიერ წლების განმავლობაში, საძინებლებში, კონსპირაციულ ბინებში, სასტუმროებში, სამუშაო კაბინეტებში და სხვა ადგილებში მოქალაქეების სექსუალური ცხოვრების დანაშაულებრივად მოპოვებული კადრების განადგურების თაობაზე ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო კანონმდებლობასა და პრაქტიკას, ხელს შეუშლის მასშტაბური და სისტემური დანაშაულის სრულყოფილ გამოძიებას, დამნაშავე პირების დადგენასა და მათი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფას.

პატივისცემით,
კახი კახიშვილი.
ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

ბიკრძალვით ჩემი სახელის გამოყენებას!

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რესპუბლიკური პარტიის სამ უდიდეს ორგანიზაციას, რესპუბლიკურ ეროვნულ კომიტეტს (RNC), რესპუბლიკურ ეროვნულ წარმომადგენელთა პალატის კომიტეტსა (NRCC) და რესპუბლიკურ ეროვნულ სენატის კომიტეტს (NRSC) სახსრების მოსაზიდად მისი სახელის გამოყენება აუკრძალა.



5 მარტს ტრამპის ადვოკატებმა რესპუბლიკელებს შესაბამისი შინაარსის წერილები გაუგზავნეს. ყოფილი პრეზიდენტის მრჩეველმა განმარტა, რომ ტრამპი რესპუბლიკური პარტიის ერთგული რჩება, თუმცა ეს არავის აძლევს უფლებას, მისი სახელი ტრამპის ნებართვის გარეშე გამოიყენოს.

უზენაესმა სასამართლომ ტრამპის სარჩელი უარყო

სარჩელი უისკონსინის შტატში 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გადათვლას ეხებოდა. უისკონსინის შტატში ჯო ბაიდენმა 20 ათასი ხმით მეტი მიიღო. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ სარჩელი დამატებითი განმარტებების გარეშე უარყო.

აღსანიშნავია, რომ 22 თებერვალს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დონალდ ტრამპის ორი მსგავსი სარჩელი უარყო, რომელიც უისკონსინისა და პენსილვანიის შტატში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ეხებოდა.

აპროკავშირი აპროვას ვერ დაიხვას

NATO-ს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ევროპის დაცვა მჭიდრო ტრანსატლანტიკურ კავშირებზეა დამოკიდებული და არა კონტინენტის სტრატეგიული ავტონომიისკენ სწრაფვაზე.

„მე არ მჯერა მხოლოდ ევროპის. მე არ მჯერა მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის. NATO-ში ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის სტრატეგიული სოლიდარობის მჯერა. არ მჯერა, რომ რომელიმე ქვეყანას ან რომელიმე კონტინენტს მართოს შეუძლია ის უსაფრთხოების გამონვევები მართოს, რომელსაც დღეს ვაწყდებით. ევროკავშირის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი NATO-ს წევრ ქვეყანაში ცხოვრობს. მაგრამ NATO-ს ევროკავშირის წევრებზე ჩვენი თავდაცვის ხარჯების მხოლოდ 20 პროცენტი მოდის... ყველა ამ მცდელობას მივესალმებით, მაგრამ ევროკავშირი ევროპას ვერ დაიცავს“, – აღნიშნა NATO-ს გენერალურმა მდივანმა.



დასრულდა ტრანსატლანტიკური კავშირებზე დამოკიდებული და არა კონტინენტის სტრატეგიული ავტონომიისკენ სწრაფვაზე.

მთვარეზე გაფრენა ქართველებსაც შეუძლიათ

პოლანდური ფონდი არტექო, მისი დამფუძნებლის – დალი უბილაგა-დე გრაფის ინიციატივით, რომელიც ევროპის კოსმოსური სააგენტოს ESA/ESTEC/Space Expo თანამშრომელიცაა, აანონსებს საერთაშორისო კონკურსის პირობებს 2023 წელს მთვარეზე ტურისტული მისიის „ჩემო მთვარე“ (Dear Moon) ქართველი წევრების შესარჩევად.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველას, მათ შორის, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, ქართველებსაც ეძლევათ შანსი კოსმოსში გასამგზავრებლად.

„მკაცრი სელექციის შემდეგ შეირჩევა 8 ყველაზე შემოქმედებითი, ამბიციური და ნიჭიერი ახალგაზრდა სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც იაპონელ მილიარდერთან იუსაკუ მანეზავასთან ერთად ილონ მასკის კოსმოსური ხომალდით „სთარშიფი“ განახორციელებენ კაცობრიობის ისტორიაში უნიკალურ, ერთკვირიან ტურისტულ მოგზაურობას მთვარეზე. მილიარდიანი ბი-

უჯეტის მისიაში „ჩემო მთვარე“ მონაწილეობა შეიძლება წევრებისთვის უფასოა, რამდენადაც მისია უკვე დაფინანსებულია იაპონელი მილიარდერის მანეზავას მიერ“, – აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.

მისიის შესახებ

ამბაზი 2018 წელს დაიწყო, როცა იაპონელმა მილიარდერმა, ხელოვნების ქომაგმა და კოლექციონერმა იუსაკუ მანეზავამ განაცხადა, რომ ის ილონ მასკის „სფის X“-თან თანამშრომლობით 2023-ში აპირებდა მთვარეზე გაფრენას რვა მხატვართან ერთად, მაგრამ ეს წინადადება ახლახან მან კიდევ უფრო გააფართოვდა და ის ეძებს არა კონკრეტულად მხატვრებს, არამედ ამბიციურ, ნიჭიერ და მისიისთვის შესაფერის შემოქმედებით ადამიანებს მთელი მსოფლიოდან, რომ-

ლებიც მასთან ერთად მთვარეზე გაფრენდებიან. მანეზავას კოსმოსური მოგზაურობის თანაგუნდელები, რომლებიც თავისთავად, უნდა აკმაყოფილებდნენ საბაზისო ტექნიკურ მოთხოვნებს, შეირჩევიან 2 უმთავრესი კრიტერიუმით:

1. კანდიდატმა უნდა შეაქოს, მასსივალურად გამოიყენოს თავისი კრეატიულობა კოსმოსში მოგზაურობის დროს სხვათა (საზოგადოებრივი) შთაბრძნობებისთვის;
2. კანდიდატმა უნდა ჰქონდეთ სურვილი და მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში მასსივალურად დაეხმარონ/შეაღწიონ თავიანთი თანატოლებს.

„ეს არის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი რვა მგზავრის შერჩევისას,“ – ამბობს მანეზავა.

მისიაში მონაწილე კანდიდატების სელექციის პროცესსაც სწორედ ის წარმართავს.

კონკურსის პირობები რეგისტრაციაში

მთვარის ტურისტულ მისიაში მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დარეგისტრირდეს სპეციალურ ლინკზე.

რეგისტრაციის დედლაინია 2021 წლის 14 მარტი, 19.00 (საქართველოს დროით).

შერჩევის პროცესი რეგისტრაციის შემდეგ, ყველა დარეგისტრირებული კანდიდატი ელ.ფოსტით მიიღებს წერილს, დეტალური ინ-

ფორმაციით სელექციის პროცესის შემდგომი ეტაპების შესახებ.

შემდგომი და უმთავრესი პროცედურების თანმიმდევრობა კი ასეთია: 2021, მარტი – კანდიდატების ენ. სქრინინგი;

2021, აპრილი/მაისი – ონლაინ ინტერვიუების ეტაპი;

2021, მაისის ბოლოს – საბოლოო გასაუბრებები და სამედიცინო გამოკვლევები; 2021, ივნისის ბოლოს – გამარჯვებულების, მისიის მონაწილეების საბოლოო გამოცხადება;

2021, აგვისტოდან – დაიგეგმება გამარჯვებული კანდიდატების საწვრთნელი და მომზადებული სამუშაოები ამერიკის, იაპონიის, ევროპის, კოსმოსურ სააგენტოებში.

„სთარშიფი“

2023 წელს იუსაკუ მანეზავა და მისი 8 თანაგუნდელი ამერიკიდან მთვარისკენ გეზს აიღებენ ილონ მასკის კოსმოსური ხომალდით „სთარშიფი“. კოსმოსური ხომალდი „სთარშიფი“ ამჟამად ტესტირების პროცესშია. მასკი დარწმუნებულია, რომ 2023 წლისთვის კოსმოსური ხომალდი სრულ მზადყოფნაში იქნება.

მილიარდერი მანეზავა ასევე ამბობს, რომ მას სრული ნდობა აქვს ილონ მასკის და მისი კომპანიის „სფის X“ და უთმენლად ელის ისტორიულ კოსმოსურ მოგზაურობას. „ცოტათი მეშინია კიდევ, მაგრამ ჩემი ცნობისმოყვარეობა უფრო ძლიერია და ის იმარჯვებს“, – ამბობს ის.

CREW CANDIDATE

dearMoon

#dearMoonCrew

NAME
Your Name

COUNTRY
Your Country



„21 ქარტინა ქართლის ცხოვრებისა“...

პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი მაია ჩიქოვანი

მზრინაპი, ფიზიკოსი, მეტალურგი, კოსმონავტი, ჯარისკაცი, შემდუღებელი, მოგზაური... - არ არსებობს პროფესია, რომელშიც წარმატებას ვერ მიაღწიეს ქალებმა, თუმცა განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებენ ხელოვნების, პროფესიის სათავეებთან მდგომი ქალები. XVIII-XIX საუკუნეებში მცხოვრები მაია




მაია ჩიქოვანი

(მარიამ) ჩიქოვანი პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალია, რომელიც ისევე მარჯვედ ხმარობდა „ხაზის იარაღს“ და „კარაკინს“ (სახაზავსა და ფარგალს), როგორც მისი თანამედროვე ქალები საქსოვ ჩხირებსა და ქარგას. რუსეთის მიტინგებთან აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში (სანაპო-პეტიტორი) დაცულია მისი პირველი კარტოგრაფიული ნაშრომები. მისი პირველი კარტოგრაფიული ნაშრომები 22 რუსის პირი. ერთ-ერთ რუსს (ბი) გადასცა ხელის ხელით მიწერილი აქვს: „უმაღლესი ანა დედოფლის ბრძანებით გადასცემდა ეს ქარტინა, რომელიც 21 ბოლოს ქარტინაში იხილეთ... 21 ქარტინა ქართლის ცხოვრებისა. დედანისგან მი თ. რ. -ს პეტრეს ასულთან მაიამ გადასცემდა. ვითომცა წყალობასა, თუ ნაკლები ანუ შეცდომა, ნუ გაუხვებით“.

რას ნიშნავს „მე-თ.რ.-ს“, ვინ არის ანა დედოფალი? - ამ კითხვებს სვამს ცნობილი ქართველი ეკონომ-გეოგრაფი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი გრიგოლ ზარდალაშვილი ჟურნალ „დროშაში“ 60 წლის წინ გამოქვეყნებულ სტატიაში. „ანა იყო იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის მეუღლე. ეს ის დავითია, რომელიც ტახტიდან ჩამოაგდო და განდევნა იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ. დავითის მეუღლე ანა რუსეთის მეფის ნებარ-


თვით 1809 წელს პეტერბურგში დასახლდა. დედოფალი ანა მაღალი კულტურის ქალი ყოფილა, შემთხვევითი არ არის, რომ მან ვახუშტისეული ატლასის პირი გადააღებინა. ისმება კითხვა, ვინ არის ვახუშტის რუსის პირის გადაღები, რომლის მიერ ოსტატურად შესრულებული ნახაზები დიდ გემოვნებასა და კარტოგრაფიული ხელოვნების მაღალ კულტურაზე მიგვივითებებს? რუკაზე წერია მხაზველის გვარი. „მე-თ.რ.-ს“ კი ნიშნავს: „მე თავად ჩიქოვანის“. მაია ჩიქოვანის გვარი პირველად გაშიფრა დოცენტმა ირაკლი მათურელმა. მისი აზრით, მაია ჩიქოვანის მიერ ვახუშტისეული რუკები გადაღებულია 1823-1836 წლებში“, - წერს გრიგოლ ზარდალაშვილი, რომელიც იმასაც შენიშნავს, რომ დღემდე არ მოიპოვება მაიას პორტრეტი, მაგრამ ავტორს იმედი აქვს, რომ წერილის ნაკითხვის შემდეგ მკითხველები რამე მასალას მიაწვდიან რედაქციას. და მართლაც, წერილის გამოქვეყნებიდან დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ ჟურნალ „დროშის“ რედაქციამ მიიღო მოქალაქე პაპუნა წერეთლის ასეთი შინაარსის წერილი:

„ამ 20-25 წლის წინათ ჩემს მეგობართან, ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერსა და ქართული ხალხური ხელოვნების ერთუხიასტ არტემ გაბუნიასთან ვიყავი სტუმრად. მასპინძელმა უჯრა გამოალო, იქიდან პატარა მინიატურა ამოიღო და თავმოქმონედ მითხრა: „შეხედე,



მარი ფელსიტი ბროსა

რა შეგიძინე. ეს პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი მაია ჩიქოვანია. მინიატურაზე ხანში შესული ქართველი ქალი იყო გამოსახული“. მკითხველის წერილი მთავრდება ცნობით, რომ მინიატურა ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.



სამეფო იბერიისაი ანუ ყოვლისა საქართველოსი ქართა ანუ რუკა, რომელ არს ორთა ზღვათა შორის კონტოსა და ქასიისა. ვახუშტი ბატონიშვილი

ცნობილია, რომ მაია ჩიქოვანი დევილი ანა დედოფალს (ირაკლი I-ის დისშვილის მამა) (მათა) ორბელიანის შვილს) გააჩუბა პეტერბურგში. ანაც და მაიაც, კამკასიის არაქოგრაფიული კომისიის აქტაში (№2, 1868 წ. ბ. 107) დაცული სიის მიხედვით, შედიოდნენ იმ ამაღაში, რომელიც 1804 წელს თან ახლდა რუსეთში იპულავით გადასახლებულ ირაკლე მეორის ძვირის დარია გიორგის ასულ დედანს. ამ სიის მიხედვით მაია ჩიქოვანიც იხსენიება მარია პეტრეს ასული ჩიქოვანის სახელით.

გრიგოლ ზარდალაშვილის თქმით, მაია ჩიქოვანი საუკეთესო მხაზველ-კარტოგრაფი ყოფილა, რადგან მის მიერ გადაღებული რუსის ასლები, კარტოგრაფიული ხელოვნების თვალსაზრისით, არაფრით არ ჩამოუვარდებოდა დედანს:

„ჩვენ არ მოგვეპოვება საბუთები იმის შესახებ, თუ ვისთვის და რა მიზნით გადააღებინა ანა დედოფალმა ვახუშტის რუკების ასლი მაიას, მაგრამ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ანას გარკვეული მიზანი ექნებოდა. ამაზე ნაწილობრივ პასუხს იძლევა მარი ბროსე, რომელმაც მაია ჩიქოვანის მიერ გადაღებული რუკების ასლი ნახა და შემდეგნაირად შეაფასა ის: „ეს ის რუკებია, რომელიც ისტორიკოსმა ვახუშტიმ შეადგინა თავისი დიდი გეოგრაფიული და ისტორიული ატლასისათვის და რომლის დედანი მოსკოვში არსებობს. მისი ასლი გადაღებული იქნა იმერთა დედოფალ ანასათვის და ამ ასლის საფუძველზე უნდა შემდგარიყო აკადემიური ასლი, მაგრამ, ბედნიერი შემთხვევის გამო, ჩვენ შევიძინეთ თვით დედოფალ ანას ცალი, რომელიც დედანს ნაკლებად დაშორებულია, სიზუსტის უფრო დიდ გარანტიას იძლევა“.

გრიგოლ ზარდალაშვილი ამბობს, რომ არ იცის თუ სად მიიღო მაია ჩიქოვანმა ასეთი ბრწყინვალე კარტოგრაფიული განათლება, თუმცა ცნობილია, რომ მაია ჩიქოვანის საქმიანობა მარტო ვახუშტის რუკების ასლის გადაღებით

არ შემოიფარგლებოდა. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ხელნაწერი (რ-388) „ანსილონი: ესთეტიკური განსჯანი“, რომელშიც ვკითხვლობთ: „ესე ესთეტიკური განსჯანი სთარგმნა რუსულით ქართულად საქართველოს მეფის გიორგის XII-ის პირმშომან ძემან... დავით, ხოლო მე გადავწახე თავადის ჩიქოვანის პეტრეს ასულთან მაიამ, სანქტ-პეტერბურგს, წელსა 1817-ს, ოგუსტოს 4-სა“.

ფრანგი ფილოსოფოსის ჟან-პიერ ფრიდერიკ ანსილონის (1767-1837) ნაშრომი „ესთეტიკური განსჯანი“ დავით ბაგრატიონმა (1767-1819) რუსულიდან თარგმნა 1815 წელს პეტერბურგში და უძღვნა დავით მეხსიშვილს.

ანსილონის „ესთეტიკური განსჯანის“ ქართულ ენაზე თარგმნა უაღრესად მნიშვნელოვანია თუნდაც იმის გამო, რომ ამ თარგმანმა ქართულში დაამკვიდრა რამდენიმე მანამდე უცნობი ტერმინი, მათ შორის „ესთეტიკა“ და „ხელოვნება“ (მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით). ცხადია, მაია ჩიქოვანამდე გეოგრაფიულ აზროვნებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა.

„ძველ საქართველოში იყვნენ ენ. ადგილისმცოდნეები და ადგილისაღმწერები, რომლებსაც ფართო გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული განათლება ჰქონდათ, მათ გააჩნდათ სპეციალური რუკები, სხვადასხვა რელიეფის სურათები, გეგმები. კოლხებს ჰქონდათ საგანგებო ფიცრები (კირბები), რომლებზეც მოგზაურობისათვის ნაწევნები იყო ყველა გზა, წყლისა და ხმელეთის საზღვრები“, - წერს გრიგოლ ზარდალაშვილი, - „ქართული კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ვახუშტმა VI, რომელიც თვითონ ადგენდა საქართველოსა და სომხეთის რუკებს. მისმა აღმზრდელმა სულხან-საბა ორბელიანმა საქართველოს ხელნაწერი რუკა შეადგინა. რომელიც შემდეგ ფრანგმა მეცნიერმა დელილმა გამოიყენა და 1723 წელს პარიზში გამოცა კავკასიის რუკა ფრანგულ ენაზე. საყოველთაოდ ცნობილია ვახუშტის შესანიშნავი გეოგრაფიული ატლასები, რომლებმაც აღიარება პოვეს რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. ქართული კარტოგრაფიული სკოლის არსებობაზე მიგვითითებს ვახუშტის ცნობა, სადაც საუბარია რაღაც ძველ „შემოკრებილ რუკებზე“.

საქართველოს რუსის შიდაგანაზა ნაყოფიერად აუშაობდა ანა ჩიქოვანი ანუ მაია ჩიქოვანი. თუმცა მისი საქმიანობა, ყოველივე ეს იმასა მიბრუნებდა, რომ საქართველოში იხსენიება არა მხოლოდ პირთა-დაამაბი-მხაზველია, არამედ რუსების შემდგომი კარტოგრაფები და, როგორც ირაკლია, მათ შორის ყოფილა ქალიც - მაია ჩიქოვანიც.

გიორგი რეხიაშვილი, რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი

წერილებს გაუხსნა დასაც კითხულობენ...

ბრიტანელმა მეცნიერებმა მე-17 საუკუნეში დაწერილი დაკეცილი წერილების ნაკითხვა შეძლეს. საუბარი 577 წერილზეა, რომლებიც ჰააგაში 1689-1706 წლებში გაიგზავნა. ისინი სკივრში აღმოაჩინეს, მაგრამ საუკუნეების წინ, კონვერტების გამოგონებამდე წერილებს სპეციალური მეთოდით კეცავდნენ. ქალაქი თვითონ ხდებოდა „კონვერტი“, თუმცა სიტყვები დამალული რჩებოდა. ასეთი წერილების ნაკითხვა დღემდე მხოლოდ მათი გაჭრის შემთხვევაში შეიძლებოდა. მაგრამ ხშირად ეს მეთოდი ასოებს აზიანებდა და წერილის შინაარსი იკარგებოდა.

ლონდონში, დედოფალ მარია უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ამ პრობლემების გადაწყვეტა მიკროტომოგრაფიული სკანერის მეშვეობით შეძლეს, რომელიც ჩვეულებრივ სტრუქტურაში გამოიყენება. რენტგენის სხივები მელანში ლითონის კვალს აფიქსირებს. სკანერების შემდეგ მეცნიერებმა გამოასახულეს ასოებად გარდაქმნეს და წერილები წაკითხეს. ერთ-ერთი მათგანი 1697 წლის 31 ივლისით თარიღდება. წერილი უაკ სენეკამ ბიძაშვილ პიერ ლე პერუს ჰააგაში მისწერა. მასში ის ვინმე დანიელ ლე პერუსის ანდრძის ასლის მიღებას ითხოვს. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ასეთი წერილები მათ მე-17 საუკუნის ევროპის მცხოვრებლების ყოველდღიური ცხოვრების შესწავლის საშუალებას აძლევს.



ანა ორბელიანი, იმერეთის სამეფოს დედოფალი

დაიოკეთ ვნახავი, გიჭავო!

სარაბგო თემს არ ეკადრება!

დღეს უკვე საანგელოტედ ქცეულ საარჩევნო პროცესს შეიძლება წერტილი დაესვას, თუმცა, მოვლენათა აქამდე განვითარების გათვალისწინებით, ადვილი საგარაუდოა, ცირკი ისევ გაგრძელდეს.

არა, ქვეყანაში არეული პოლიტიკური პროცესები ამჯერად არაფერ შუაშია – საუბარია წერეთლის გამზირზე, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ დანიშნულ საქართველოს რაგბის კავშირის მორიგ ყრილობაზე, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, კვისარს კვისარისა უნდა მიაგოს და ვნებები დააცხროს.

ეს სათქმელადაა ადვილი – დუდილის ტემპერატურა დაეწიოთ, თორემ როცა ცეცხლს თვეების განმავლობაში ნავთს ვასხამთ, დაგვეთანხმებით, გორდიას კვანძის გახსნის პროცესს მაქსიმალურად ვახანგრძლივებთ, მით უმეტეს მაშინ, როცა მხარეებს საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად არ-გუმენტებიც გააჩნიათ და მხარ-დამჭერებიც.

კერძოდ, პრეზიდენტად ერთხელ უკვე არჩეული ირაკლი აბუსერიძე დარწმუნებულია, რომ, მართალია, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრი მის უფლებამოსილებას ჯერჯერობით არ არეგისტრირებს, აქაოდა წესდების პუნქტია დარღვეული, მაგრამ „ბორჯღალოსანთა“ ყოფილი კაპიტანი დარწმუნებულია, რომ, ადრე თუ გვიან, მოპოვებული გამარჯვება საშუალებას მისცემს დამსახურებულ თა-

ნამდებობაზე შეუდგეს მოღვაწეობას.

აღსანიშნავია, რომ იგი უნდობლობას უცხადებს დღევანდელ საგანგებო კრებას და არც აპირებს მასში მონაწილეობას, თუმცა, აცხადებს, რომ შეურიგებელ პოზიციას ერთადერთი წამოყენებული კანდიდატის მიმართ თავის ქომაგთა თანხლებით აუცილებლად გამოხატავს, თანაც იმეორებს: „როგორც მე ვერ გავხდები მშენებელი, ისე იოსებ ტყემალაძე ვერ გახდება მორაგბე“. სხვათა შორის, გუშინ აბუსერიძეს თანადგომა საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერებმა პარიზსა და ნიცაში გამართულ აქციებზე გამოუცხადეს.



საქართველოს რაგბის კავშირი GEORGIA RUGBY UNION

თავის მხრივ, გულშემატკივართა სიმცირეს არც პოსტის დაკავების პრეტენდენტი უჩივის და ოპტიმისტურადაცაა განწყობილი: ამჯერად ქვორუმიც იქნება და ჩემს უპირატესობას ხმოსან დელეგატთა რაოდენობითაც მივანიჭებ იურიდიულ ძალას.

რაც შეეხება „აბუს“ აპელირებას მეტოქის პროფესიაზე, ბატონი იოსები უცხოური სპორტული ცხოვრების მაგალითებს იშველიებს, მთავარია მენეჯერული თვისებები გააჩნდეს, სრკ ს კვალიფიციურად რომ გაუძღვეო და საამისოდ მოთამაშის შთამბეჭდავი კარიერა სავალდებულო სრულიადაც არ არისო.

მოკლედ, დღეს დიდუბეში ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლია დანიშნული. საინტერესოა, გველირება ფარდის ღირსეულად დაშვება?

თანამეგობრული



ნავსი გატეხა

წარმატებით დაიწყო სეზონის რიგით მეექვსე – დოპას ART 250 კატეგორიის პრესტიჟული საზოგადოებრივი ტურნირი ნიკოლოზ ბასილაშვილმა, რომელმაც ხუთმატიანი წაგებების სერია ავსტრალიელ ჯონ მილმენთან სამსეტიანი ბრძოლის მოგებით შეწყვიტა – 2:6, 6:4, 6:2.

ეს იყო საერთაშორისო რეიტინგში მეზობლების (ნიკა 42-ე ნომერია, მისი მეტოქე – 41-ე) მეტუთე შეხვედრა და აღნიშნული გამარჯვებით ჩვენი თანამემამულე 3:2 დანინაურდა.

ბასილაშვილი მეორე წრეში ხორვატ ბორნა ჩორიჩსა და ტუნისელ მალიკ ჟაზირის წყვილში უკეთესს დაუპირისპირდება.

სხვათა შორის, სწორედ ყატარის კორტზე უბრუნდება ერთ წელზე მეტხნაიანი, ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ დიდ სპორტს ლეგენდარული შვეიცარიელი როჯერ ფედერერი.

სუთი რგოლი

უნგრეთიდან – იაპონიაში

ლიხენეიზისთვის იბრძოლებენ

2022 წლის ზამთრის ოლიმპიადის საგზურების მოსაპოვებლად ქართული კვარტეტი 22-28 მარტს შეფდეთის დედაქალაქ სტოკ-ჰოლმში გასამართავ ფიგურისტთა წლებანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: მორის ყვითელაშვილი, ალინა ურუშაძე (ერთეულთა თანრიგი), ანასტასია მეტელკინა და დანიელ პარკმანი (სპორტული წყვილები).



დასანანია, რომ ამჯერად გიორგის ტრავმის გამო ყინულზე ვერ გავა მისი და მარია კაზაკოვას (სპორტული ცეკვები) წყვილი, თუმცა, ოლიმპიური ლიცენზიისთვის ბრძოლის საშუალება მას მორიგ საკვალიფიკაციო ეტაპზე მიეცემა, რომელსაც გერმანიის ქალაქი ობერსტდორფი უმასპინძლებს.



თბილისური საერთაშორისო შეკრებისა და აქვე გამართული მონატრებული ტურნირის შემდეგ, რაც პანდემიით იყო გამოწვეული, ქართველ მუშკეტერთა II-წევრიანი დელეგაცია უნგრეთში დაგეგმილ მოხმალავე ქალაქთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში (11-14 მარტი) სა-

ასპარეზოდ ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება.

სანდრო და ბექა ბაზაძეები, ვაჟა რეჭია, ნიკა შენგელია, გოგა კაკაურიძე, ნიკოლოზ ჭივილი, ვახტანგ არჩვაძე, თეოდორა კახიანი, ლიკა ჯიჯეიშვილი, დარია ანტონოვა და ალექსანდრა კუვაევა.

მერაბ ბაზაძე – საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი: „ბუდაპეშტში რეიტინგის გასაუმჯობესებლად დიდი კონკურენცია იქნება. ამ მხრივ ყველაზე დიდი გამოცდის ჩაბარება კლასიფიკაციის მეშვიდე ნომერ სანდრო ბაზაძეს მოუწევს, რომელსაც, მართალია ოლიმპიადის საგზური განაღდება, მაგრამ ტოკიოს თამაშებზე უკეთესი განთესვის მისაღებად რეიტინგში რაც შეიძლება წინ უნდა წაინიოს.“

რთული ამოცანის წინაშე დგანან ქალები, რომლებსაც სალიცენზიო შეჯიბრება იქვე 24-25 აპრილს ელოდებათ. აღსანიშნავია, რომ კახიან-ანტონოვა-ჯიჯეიშვილის ტრიოდან რომელიმეს იაპონიაში გამოსვლის შანსი გააჩნია“...

დაბრუნება

სარკვევით სარეზერვო

გაზაფხული „ბარსელონის“ ქუჩებშიც მოვიდა – როგორც პირდაპირი, ისე გადატანილი მნიშვნელობით.

დიახ, კატალონიურ გრანდს სამარცხვინო სტარტის შემდეგ მეორე სუნთქვა გაეხსნა და უკვე სამიოდე ქულით ჩამორჩება პრიმერა-დივიზიონის ლიდერ „ატლეტიკოს“, თანაც, გავიდა „კოპა დელ რეის“ ფინალში, სადაც 17 აპრილს „ბილბაოს“ შეხვდება და, რაც მთავარია, სახელოვან კლუბს პრეზიდენტის რანგში ძღვეამოსილი ჟოან ლაპორტა დაუბრუნდა, რომელმაც არჩევნებში ხმათა 55 პროცენტით გაიმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ სწორედ მის შვიდწლიან „პირველ მოსვლას“ უკავშირდება ხოსეპ გვარდიოლას ლეგენდარული სამწვრთნელო კარიერა და შვიდ სეზონში შექმნილი მთელი ეპოქა, რომელმაც მესის, ინიესტას, ჩავის, პიკესა და კამპანის მიერ მოპოვებული უამრავი ტიტული მოიცვა, მათ შორის ოთხჯერ მოგებული ლა ლიგა, ჩემპიონთა თასის ორჯერ დაუფლება და მსოფლიოს საკლუბო მუნდიალზე ტრიუმფი.

ლაპორტას საბრძოლო ნათლობა დღეს პარიზში „სესუ“-სთან შედგება ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩში (პირველი შეხვედრა – 1:4). გაგრძელება იქნება!



ოქაენის გაცა

რაც იცინა, იცინა...



ჩვენი სამშობლოს სენია ჯორჯიის შტატის დედაქალაქმა ატლანტამ ნა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩს კოვიდმანდემის რეგულაციების სრული დაცვით და, შესაბამისად, თითქმის ცარიელი ტრიბუნებით უმასპინძლა, მაგრამ ამით კალათბურთს ხიბლი არ დაუკარგავს – მოგესხენებათ, ოკეანის გაღმა დაუფინყარი სპექტაკლების დადგმა ნებისმიერ ვითარებაში შეუძლიათ. 17:150 – ასეთი ანგარიშით მოუგო „ლებრონის გუნდმა“ შეხვედრა – „სოუ დურანტის გუნდს“, თუმცა, ამჯერად „მეფეს“ არ გაუბრწყინავს.

სამაგიეროდ, შეუჩერებელი იყვნენ ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ (MVP) მიჩნეული „მილუოკის“ ლიდერი იანის ანტეტოკუნშო (35 ქულა) და სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული (30-დან 29!) ზუსტი ტყორცნა) სტეფ კარი – 28 ქულა. სხვათა შორის, სწორედ პერიმეტრიდან დაჩაგრეს გამარჯვებულებმა მეტოქე – 61-დან 31 ნარმატებული ცდა (51 პროცენტი). დავძენთ, რომ საქველმოქმედო შემოსავალმა 750 ათასი დოლარი შეადგინა.

თამარ მეფის ორდენოსანი მანდილოსნები

სამართლიანად პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თამარ მეფის ორდენით კულტურის სფეროში მოღვაწე რვა ქალი დააჯილდოვა.

თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდნენ:

ხელოვნებათმცოდნე ელენე კავლე-ლიშვილი (სიკვდილის შემდეგ) – ქართული ეროვნული საგანძურის კვლევასა და მის დაცვაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის, გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის;

საოპერო მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი – ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის, გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის;

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი მზექალა შანიძე – ქართველოლოგიის განვითარებაში, ძველი და ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისა და გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის;

მსახიობი ნათელა მაჭავარიანი – ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისა და გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის; ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კინწუ-

თა საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო ჯილდოს მფლობელებს მადლობა გადაუხადა განუხლები ღვაწლისათვის და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქალების განსაკუთრებულ როლს ქვეყნის განვითარების საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში ქალების როლი განსაკუთრებულია და ეს ისტორიიდან მოგვცემა, როგორც ამ ქვეყნის დამაარსებელი ნინოა. ის თანასწორობა, რომელზეც დღეს ბევრს საუბრობენ და რომელიც ბევრი ქვეყნისთვის მიზანს წარმოადგენს, ჩვენთან მოცემულია.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი კარგადაა. კიდევ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი, თუნდაც იმ საკითხებში, რომელიც ხელფასების გათანაბრების საკითხსა და პოლიტიკაში ქალების ჩართულობას ეხება.

ბევრია გასაკეთებელი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისითაც. ქალთა მიმართ ძალადობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის კულტურაში ალბათ სიხალეა და უფრო მეტად დაკავშირებულია დღევანდელ სოციალურ ფონთან, ეს არის ის, რაც არ ეკადრება საქართველოს, ქართველებს და ქართულ კულტურას.

ჩვენ ვართ ის ქვეყანა, სადაც 103 წლის წინ ქალებმა პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება მიიღეს და გვყავდა ხუთი ქალი დეპუტატი, მათ შორის, პირველი მუსლიმი ქალი. დამოუკიდებლობის აქტზე ქალები აწერენ ხელს.

ჩვენ ვართ ის ქვეყანა, სადაც იუნკრებთან ერთად იბრძოდა და დაიღუპა მარო მაცაშვილი.

სამ წუხაროა, რომ ძალიან ბევრი ქალი წასული ქვეყნიდან იმისთვის, რომ ეკონომიკურად დაეხმარონ თავიანთ ოჯახებს და იქიდან გამოგზავნონ აუცილებელი დახმარება. ეს ნიშნავს დაყოფილ ოჯახებს, ერთმანეთს დაშორებულ შვილებს და დედებს, რაც თავისთავად იმ ოჯახური განათლების სერიოზულ პრობლემას იწვევს, რომელიც სრული განათლების განუყოფელი ნაწილია. თუ არ არსებობს ოჯახი, რომელიც პირველად განათლებას აძლევს ბავშვს, შემდგომში საქმე გვაქვს ძალიან მძიმე სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებთან. ანუ, ეს ჩვენი ქვეყნისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რომელსაც უთუოდ უნდა მივხედოთ. ეს უნდა იყოს ალბათ ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური პრიორიტეტი.

ჩვენ დროს კი არ უნდა ვკარგავდეთ დაპირისპირებებსა და პოლარიზაციაში, ჩვენ უნდა მივხედოთ იმ მთავარ ამოცანებს, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. სწორედ ამით წავალთ წინ და შევძლებთ, რომ საქართველო მართლაც შეუერთდეს ევროპულ ოჯახს და თავისი მომავალი ამ სტაბილურ გარემოში მონახოს.

გადავწყვიტეთ, კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულებიდან 8 მარტისთვის რვა ქალი შეგვეჩვიოთ და ეს იქნებოდა სწორედ იმის სიმბოლო, რა შეუძლიათ ქართველ ქალებს.

სიმბოლურია ისიც, რომ ჩვენ თამარ მეფის ორდენს ვაძლევთ ამ ქალბატონებს, რაც იმ წარსულის გახსენებაა, რომ საქართველოში ძლიერი ქალები სიხალე არ არის და ეს ისტორიულადაა დადასტურებული, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა დაჯილდოების ცერემონიაზე.



ერისა და ბერის კიდევ ერთი სირსხვილი

მარტვილისა და ჭყონდიდის ეპარქიაში მომხდარი პროვოკაციის უკან, ყოფილი მიტროპოლიტი პეტრე ცაავა დგას.

ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე სტეფანე კალაიჯიშვილი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში იმყოფებოდა, სადაც დაშავებული შურნალისტი მოინახულა.

მეუფემ მედიასთან კომენტარებისას ეპარქიაში მომხდარ დაპირისპირებაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და განაცხადა, რომ ეს იყო გარკვეული ჯგუფის მიერ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია.

– „მე ერთი მოვინახულე, დანარჩენი გაეწერნენ. კრება მიმდინარეობდა ეპარქიაში და იქ შემოჭრა სცადეს. შურნალისტები აღმოჩნდნენ შემოჭრის მსხვერპლნი, რადგან კარები იღებოდა გარეთ და როდესაც გარედან ეჯავჯავებოდნენ, გაეღოთ და შიგნიდანაც მშფოთვარე ჯგუფის წარმომადგენლები კარს მიაწვინენ, რომ შემოეშვათ ისინი, ამ დროს კარები გა-



კრება და გვაქვს უფლება, მედიის გარეშე ჩატარდეს, არავის დაუძახია შურნალისტებისთვის. ეს იყო სპეციალურად მოწყობილი პროვოკაცია. ჩვენ მხოლოდ სასულიერო პირების შეკრებას ვგეგმავდით. ჩვენ ყველაფერი გვაქვს გადაღებული. ყველაფერი გამოჩნდება. შეკრებაზე ვაცალე ყველას, დაესვათ კითხვები და როცა მე უნდა მეპასუხა, იმ დროს არ გაჩერდა ორი პირი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს სპეციალურად იყო დაგეგმილი. შიდა კადრები გასაჯაროვდება“, – განაცხადა მეუფე სტეფანემ.



ილო და, ამ ვითარებაში დაზიანდა ხალხი. ვთხოვეთ, იმ აივანზე არ ამოსულიყვნენ, მაგრამ არავინ გვისმინა. ვფიქრობ, ძალიან დიდი დარღვევა არის, როცა ასე გექცევიან, იმ ადამიანების მიერ, როცა ასე შემოიჭრნენ, ასევე შურნალისტების მიერ. საეკლესიო


მისივე თქმით, ეპარქიის ეზოში შეკრებილი ადამიანების უკან დგას ეპარქიის ყოფილი მიტროპოლიტი პეტრე ცაავა და ეს ადამიანები მისი ორგანიზებით მოქმედებენ.



შეაპრას მკვლელები მკაცრად დაისჯნენ

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ გიორგი შაქარაშვილის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის საქმეზე განაჩენი გამოაცხადა.

საქმის განმხილველი მოსამართლის ბიძინა სტურუას განწყვეტილებით, გიორგი შაქარაშვილის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის საქმეზე ბრალდებული ხუთი პირიდან სამ პირს არჩილ გაგნიძეს, ვახტანგ ჩიქოვანსა და ნიკოლოზ რევაზიშვილს, თითოეულს 16 წლით პატიმრობა მიესაჯა. კიდევ ორი არასრულწლოვნის, ა.ქ.-სა და ზ.ხ.-ს მიმართ განაჩენი 16 მარტს გამოცხადდება.



ქარაშვილის დედა დაესწრო. ამასთან, სასამართლოსთან იმყოფებიან გიორგი შაქარაშვილის ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები.

შეგახსენებთ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გიორგი შაქარაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნა ხუთი პირის მიმართ 2020 წლის 11 აგვისტოს დაიწყო. გამოძიებით დადგინდა, რომ სასტიკად ნაცემი გიორგი შაქარაშვილი თავდამსხმელებმა გადაადგეს მდინარე არაგვში, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

კალაღობის შეეზარაპი უაქტი კახეთში!

შინაბან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოჯახში ძალადობის ფაქტზე, 1985 წელს დაბადებული ზ.შ. გურჯაანის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა 1996 წელს დაბადებულ მეუღლეს ოჯახური კონფლიქტის დროს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცემდა. აღნიშნული კონფლიქტის დროს ქალს ხელში ჰყავდა შვილი – 2020 წელს დაბადებული ბავშვი, რომელმაც გონება დაკარგა და გარდაიცვალა. მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



რაშვილი – ქართული სამხატვრო ხელოვნების კვლევასა და საზღვარგარეთ პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის; რეჟისორი ქეთევან (ქეთი) დოლიძე – ქართული თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის, გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის;

ICOMOS-ის საერთაშორისო სამდივნოს მრჩეველი მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაციების შეფასების საკითხებში რუსუდან მირზიკაშვილი – ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, საზღვარგარეთ პოპულარიზაციაში და საუკეთესოდ წარმოდგენაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის;

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნე რუსუდან წურწუშია – ქართული მრავალხმიანი მუსიკის კვლევაში, საზღვარგარეთ ქართული მრავალხმიანი მუსიკისა და საქართველოში მსოფლიო მრავალხმიანი მუსიკის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის.

დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც ორბელიანების სასახლეში გაიმართა

ავსტრიული ანჩისხატის ტაძარში დაიდგა სპეციალური სახატე ვიტრინა, სადაც, შესაბამისი სტრუქტურების თანხმობის შემთხვევაში, ანჩის მაცხოვრის კარედს გადაიტანენ. კარედი ამჟამად თბილისის ხელოვნების მუზეუმში ინახება. 4 მარტს გერმანულმა კომპანიამ, რომელმაც ვიტრინა დაამზადა, აღწერა, როგორ აპირებს ხატის მუზეუმიდან ეკლესიაში გადატანას.

ანჩისხატში ტყვიაგაუმტარი სახატე ვიტრინა დადგეს

გადაიტანენ ხატს მუზეუმიდან?

ანჩისხატის დაბრუნების პროექტის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ზაზა ნანობაშვილი ამბობს, რომ SEHNER GmbH, რომელმაც ვიტრინა დაამზადა, სამუზეუმო სფეროში ავტორიტეტით სარგებლობს და ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს. კომპანიის წარმომადგენლებს აღწერით, კიოტის ტყვიაგაუმტარი მინა ფირმა „სილატეკმა“ ჩამოასხა. ვიტრინის დეტალები გაკეთებულია უჟანგავი ლითონისგან. მიუხედავად სიმძიმისა (ტონაზე მეტს იწონის), ვიტრინის კარი მთლიანად იღება. ვიტრინაში შექმნილია მიკროკლიმატი, რომელიც მაშინაც შენარჩუნდება, თუ შემთხვევით ელექტროენერგია გამოირთო.



„კიოტი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაამზადა. ორი წელია, ამ კომპანიასთან ვმუშაობთ. ძლივს დავითანხმეთ, რომ საქართველოში პროექტი გაეკეთებინათ. ყოყმანობდნენ, რადგან მანაც არასტაბილური ქვეყანაა. პროექტი, დაახლოებით, 70 ათასი ევრო დაჯდა. ეს თანხა წლების განმავლობაში გროვდებოდა. „სილატეკის“ მინისგან გაკეთდა, რომელიც ძალიან გამძლეა, დიდი შვიდეული რომ იკრიბება, ამ მინას უყენებენ დასაცავად. ხატის ტრანსპორტირებასაც თავად გააკეთებენ. (მუზეუმიდან ტაძარამდე) ნახევარი კილომეტრია, მაგრამ გადატანასაც თავისი წესები აქვს“, — ამბობს ზაზა ნანობაშვილი.

კომპანიის წარმომადგენელმა იურგერ ზენერმა განმარტა, რომ დაგეგმილია ხატის ზომისა და სპეციფიკის შესაბამისი შესაფუთი სისტემის შექმნა. ყუთი დამზადდება სერტიფიცირებული და მანქანებისგან თავისუფალი პანელებისგან. შიგნიდან მოპირკეთებული იქნება ვიბრაციისგან დამცავი მასალით, ასევე უზრუნველყოფენ სათანადო კლიმატსაც. ანჩისხატის მუზეუმიდან ტაძარში გადატანაზე უკვე ათეული წლებია, საუბრობენ. ეს ძირითადად საზოგადოების მორწმუნე ნაწილის სურვილია. ზაზა ნანობაშვილი ამბობს, რომ აქამდე კულტურის სამინისტრო იმაზე მიუთითებდა, რომ ტაძარში ხატის შესანახად პირობები არ იყო.

მისი თქმით, ამჯერად ეს პრობლემა მოხსნილია და კულტურის სამინისტროს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება მოუწევს.

„სრულიად საქართველოსთვის არის ეს მნიშვნელოვანი. ღმერთს ვთხოვთ, რომ ჩვენი ნატურა ასრულდეს. 30 წელი — მას შემდეგ, რაც ტაძარი გაიხსნა — ამისთვის ვიბრძობ“, — ამბობს ანჩისხატის ტაძრის დეკანოზი მამა აკაკი (მეგრელიშვილი).

ხატი თბილისში კლარჯეთიდან, ანჩის მონასტრიდან, მე-7 საუკუნეში ჩამოიტანეს და ადგილი მიუჩინეს ღვთისმშობლის შობის ტაძარში, რომელსაც შემდეგ უკვე ანჩისხატი შეერქვა. ანჩისხატი მე-8 საუკუნის ტაძარია და ის ვახტანგ გორგასლის მეგვიდრემ დაჩიმ ააშენა. ანჩისხატი არის ხელთუქმნელი ხატის ასლი. თავად ხელთუქმნელი ხატის წარმოშობის ლეგენდა ამბობს, რომ ქრისტემ სახზე მიიღო ტილო, რის შემდეგაც მისი გამოსახულება ქსოვილზე გადავიდა. ხელოვნებათმცოდნე ნინო ჭიჭინაძის თქმით, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა ხატის ფერწერა მე-6, მე-7 საუკუნეებს მიაკუთვნა. იგი მიიჩნევდა, რომ ხატი სირიულ მხატვრულ წრეს ეკუთვნის.

„ანჩისხატის ფერწერას დამატებითი შესწავლა ესაჭიროება. ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაშია ის, რადგანაც გახსნილი მხოლოდ ათწლეულების წინ ნახეს. ხატის ფერწერა და ჭედურობა ზედმინვენიტაა შესასწავლი. უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები, თუ რა პირობები ესაჭიროება დაცვისთვის. სკეპტიკურად ვარ განწყობილი, რომ ეკლესიაში ხატისთვის სათანადო პირობები იქნება. ვფიქრობ, ხატი მუზეუმში უნდა დარჩეს“, — ამბობს მკვლევარი.

რას აპირებს ხელისუფლება? ხატის ტაძარში გადატანაზე არათუ რამე შეთანხმება, ჯერ მოლაპარაკებაც არ დანერგულა. მუზეუმში აცხადებენ, რომ საკითხი გადატანის შესახებ არ დამდგარა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში კი კითხვაზე, აპირებენ თუ არა ამ თემაზე მსჯელობას, გვიპასუხეს, რომ შესაძლებელია, ისიც მხოლოდ სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ.

თაა თოფურიბა, „რადიო თავისუფლების“ კურნალისტი.

მეგან მარკლისა და პრინს ჰარის სკანდალური ინტერვიუ

ტელეკომპანია CBS-მა პრინს ჰარისა და მეგან მარკლის სკანდალური ინტერვიუ გაავრცელა, რომელიც წყვილთან პოპულარულმა ტელეწამყვანმა ოპრა უინფრემ ჩაწერა. ინტერვიუში ჰარი და მეგანი სამეფო ოჯახთან დაპირისპირებაზე საუბრობენ. მათი მტკიცებით, ოჯახის წევრები დიდ ინტერესს იჩენდნენ მათი მომავალი ბავშვის კანის ფერის მიმართ და ხშირად ეკითხებოდნენ მათ, რამდენად მუქი ფერი შეიძლება ახალშობილს ჰქონოდა.



მეგანის მტკიცებით, სასახლეში ის თავს მარტოსულად გრძობდა, რის გამოც სუიციდზე არაერთხელ უფიქრია, ჰარის კი მამასთან იმდენად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რომ პრინცი ჩარლზი მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა.

ქალთმოკლულება თუ გაიზნული ქვედა?

იტალიელმა მწერლებმა, იურისტებმა, დეპუტატებმა და სენატორებმა ტრეკანის ენციკლოპედიის ინსტიტუტს საჩივრით მიმართეს.

აქტივისტები ინსტიტუტის მიერ გამოცემული ლექსიკონიდან სიტყვა „ქალის“ სინონიმის ამოღებას მოითხოვენ. „ქალის“ სინონიმად ლექსიკონში სიტყვა puttana არის მოხსენიებული, რაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ნიშნავს. ამავე ლექსიკონში „ქალის“ სინონიმად სექს-მუშაკების აღმწერი 30 სიტყვაა გამოყენებული, მაშინ როცა სიტყვა „კაცი“ პოზიტიურ ტერმინებთან არის ასოცირებული, მაგალითად „ბიზნესმენთან“.

აქტივისტები აღნიშნავენ, რომ ეს მიდგომა ქალთმოკლულების ელემენტებს შეიცავს, რაც ძალიან სახიფათოა, რადგანაც ენა რეალობის ფორმირებას ახდენს.

„შესაბამისად, სწორ განსაზღვრებებზე დიდადა დამოკიდებული ქალთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირება“, — ნათქვამია აქტივისტების წერილში.

„ბეღების ტა“ ბეღების ბალსარჩინად

რუსმა ბალერინამ ილირია ბაგრაუტინოვამ სცენები ბალეტისგან „გედების ტა“ ღია ცის ქვეშ, მინუს 15 გრადუსში, სანტ-პეტერბურგიდან 100 კილომეტრში, ფინეთის გაყინულ ყურეში შესასრულა.



ეს იყო ერთგვარი საპროტესტო პერფორმანსი ცოცხალი გედების დასაცავად. იმ ადგილას, სადაც ბალერინა ცეკვავს, ფრინველები ბუდეებს იშენებენ და მრავლდებიან.

თუმცა, რუსეთის ხელისუფლება აქ პორტის აშენებას გეგმავს, რაც გედებს გადაშენებით ემუქრება.

ბელნიკი კნუტები

ტაილანდელმა მეზღვაურებმა ცეცხლმოკიდებული გემიდან 4 კნუტი გადაარჩინეს.

შემთხვევა კუნძულ კო ადანთან მოხდა. გემს ცეცხლი გაუჩნდა და ჩაძირვა დაიწყო. ეკიპაჟის რვავე წევრმა ზღვაში გადახტომა მოასწრო, რის შემდეგაც ისინი მეთევზეებმა გადაარჩინეს და ნაპირამდე მიიყვანეს. მაგრამ მეზღვაურებს გემზე მცხოვრები კატები არ გახსენებიათ.

ამის შემდეგ ადგილზე ნავთობის შესაძლო დაღვრის შესამოწმებლად სამხედრო ფლოტის წარმომადგენლები მივიდნენ. გემი უკვე ნახევრად ჩაძირული იყო. სწორედ სამხედროებმა შეამჩნიეს შემინებული ცხოველები, რომლებიც ხანძრისგან მოშორებით ისხდნენ. ერთ-ერთი მეზღვაური მათ გადასარჩენად წყალში გადახტა, კატები სათითაოდ ზურგზე შემოისვა და თავის გემზე გადაიყვანა.



შსსოპრი ვალუტის ჯარსი:
 აუზ ფოლარი - 3.3202; პარკი - 3.9640;
 ბრითანული პირანაჟა სტიპენდია - 4.5835;
 100 რუბლი - 4.4518; თურქული ლირა - 0.4418;
 აზერბაიჯანული მანათი - 1.9511;
 1000 სომხური დრამი - 6.3332.

აშინდი 10 პარტიისთვის			
აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარაი -	ლაშქ	-3,	ფლვ +11
მთიანი რაიონები -	ლაშქ	-11,	ფლვ +9
დასავლეთი საქართველო:			
ბარაი -	ლაშქ	-3	ფლვ +13
მთიანი რაიონები -	ლაშქ	-9,	ფლვ +10
თბილისი:	ლაშქ	-3,	ფლვ +10

დაგვიკავით, მოგვწერით:
 ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
 და sakresp@top.ge
 ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA

მთავარი რედაქტორი
საბარტაძე ძოგუღია
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
 599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაძიძე
 514 33-33-24

ბამოცემელები:
 შპს „ახალი საუკუნე — გაზეთი“ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35
 შპს „თანადამომა -1“ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 იბეჭდება სტამბა „კოლორი“
 ე. ბალდავაძის №3

კოლორი
 ჰაუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
 ს-323

2 009882 616932

ავტორთა საჩუქრადღეობა!
 რედაქციის მიერ შეუქმნათვი მასალაში დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმლვა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხუსტაზე პასუხს ავებენ ავტორები.

გაზეთის მომწოდებელი
ნომერი
გამოვა
პარასკევს,
12 მარტს